ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 18 ივლისი, 2013 №168 (6169) ფასი: 30 თეთრი

16 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
დინოზავრები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი



„ნაციონალები დავით უსუფაშვილმა გადაარჩინა“

გვ.2

ბოკერიას ჯგუფსა და რესპუბლიკელებს მჭიდრო კავშირი აქვთ

„ვანო მერაბიშვილმა წონაში მკვეთრად დაიკლო“

გვ.5

ევროპარლამენტარები მისი პატიმრობის გამო კიდევ ერთხელ შეშფოთდნენ

უნგრეთში „დედ ჰასანის“ სავარაუდო მკვლელი, ქართველი კანონიერი ქურდი „მერაბ სუხუმსკი“ დააკავეს

გვ.7



გვ.4

ბათუ საღინაძე: „ტარიელ ონიანმა ირაკლი ოქრუაშვილს 2 მილიონი გადაურიცხა“

გვ.5

უწყებათაშორისი კომისია უშიშროების საბჭოს ნაცვლად იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარება

გვ.3

ბაჩო ახალაია: „წამების და ძალადობის ამსახველი ვიდეოების უკან კონკრეტული პირები დგანან“

გვ.3

სანდრა რულოვსის გამო ავიარეისი შეფერხდა

გვ.4

გვ.7

გელა კვაჭანტირაძე: „წამების სისტემა ნაციონალებმა შექმნეს“

გვ.3

ირაკლი ალასანია: „დარწმუნებული ვარ, ჩვენს მოქალაქეებს გამოვიხსნით“

დავით სერგეენკო: „ჭიათურის მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება“

გვ.6

ISSN 1987-9385

2 ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა

3 საქართველოში ქარის სადგურების მშენებლობა იწყება

6 პრეზიდენტობის კანდიდატთა რაოდენობა თორმეტამდე გაიზარდა

4 რატომ დაერივნენ ბორდელებს

ნონა ცაბაძე

სანდრო ბრეგაძე: „ნაციონალები დავით უსუფაშვილმა გადაარჩინა“

ბოკერიას ჯგუფსა და რესპუბლიკელებს მჭიდრო კავშირი აქვთ

ინტერვიუსანდრო ბრეგაძესთან

– რა ხდება, ბატონო სანდრო, თურმე ყველაზე პოპულარული ძალა დღეს ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობა ყოფილა. ქართველ ხალხს დაემართა ამნეზია თუ ნავარო ურევს?

– ძალიან სამწუხაროა, ისეთი პატივსაცემი ინსტიტუტი და ისეთი ავტორიტეტული ინსტიტუტი, როგორიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტია, საქართველოში წლების განმავლობაში არის ისეთი პირების ხელში, რომლებიც ამ ინსტიტუტის სახელის დისკრედიტაციას ეწევიან. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ არსებობს, რომ ის, რა მონაცემებიც გამოქვეყნდა ნაციონალური მოძრაობასთან დაკავშირებით, არის ნავაროს სურვილი და არა არსებული რეალობა. არ არსებობს არანაირი, თუნდაც მინიმალური შანსი იმისა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდეს 10%-იანი რეიტინგი. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი, დღევანდელი მონაცემებით, მერყეობს სამიდან ოთხ პროცენტამდე და ის სულ უფრო და უფრო ქვევით დაიწევს. ეს არის პირდაპირი სურვილი, რომ ნაციონალური მოძრაობა იყოს მეორე ადგილზე, ნაციონალური მოძრაობა იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა და ერთადერთი ოპოზიციური ძალა საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში. ასეთი ტიპის ადამიანები, რომლებიც საქართველოში ჩამოსულები არიან და ჭკუას გვარიგებენ, საკმაოდ დიდი ხანია საუბრობენ ხელოვნურ კოჰაბიტაციის პროცესზე, სხვა უაზრო ქმედებები, რომელიც ხორციელდება, სწორედ ამას ემსახურება. მე მეგონა, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ ასეთი ტიპის ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში არიან, ცოტათი ყურებს გამოიფხეკდნენ და დაფიქრდებოდნენ იმაზე, თუ რა უდიდესი შეცდომები დაუშვეს მათ თავის დროზე. როგორც ვატყობ, ისინი ამაზე არც დაფიქრებულან და საერთოდ არანაირი დასკვნები არ გამოუტანიათ. სწორედ ენდიაის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, რომლებიც საქართველოში იყვნენ, თვალების დახუჭვამ იმ სისასტიკეზე, იმ უგვანობაზე, აღვირახსნილობაზე, რასაც ეწეოდა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი, სწორედ ამ ყველაფერზე თვალის დახუჭვამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს მოსახლეობაში მოხდა დასავლური ღირებულებების დევალვაცია. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეასრულეს რუსეთის აუხდენელი ოცნება, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალში დაცემულიყო ნატოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურების რეიტინგი, იმიტომ, რომ მათ თავის დროზე თვალი დახუჭეს ყველა იმ სისასტიკეზე, რასაც სააკაშვილის რეჟიმი ჩადიოდა. როგორც ჩანს, დღესაც ვერ გამორკვეულან და ისევ იმ ძველ რელსებზე აპირებენ სვლას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, საბოლოოდ დიდი კრახის მომტანი იქნება მათთვის.

– ჩვენი მოსახლეობის ბრალიც ხომ არ არის, რომ უფრო მკაცრად არ მოითხოვა რეჟიმის გასამართლება? შეიძლება რეჟიმი პოპულარული ოპოზიციური ძალა იყოს ქვეყანაში და პრაიმერებს ატარებდეს?

– საზოგადოება კი ითხოვს, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში გაიმარჯვა იმ ფრთამ, რომელი ფრთაც კოჰაბიტაციისკენ და ნაციონალური მოძრაობისკენ იყო გამიზნული. ანუ რესპუბლიკელთა ფრთამ გაიმარჯვა და გაიმარჯვა არა მარტო ამ საკითხში. მაგალითად, რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს იგივე მარგველაშვილთან მიმართებაში, როდესაც უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესწორება უნდა შესულიყო, რის მიხედვითაც დროებით პრემიერი ნიშნავდა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ეს ვერ გავიდა, იმიტომ, რომ რესპუბლიკელებს არ სურდათ, ეს რომ გასულიყო და არც გაატანინეს. რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს აი, ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში, რომელსაც ჰქვია, ყოფილიყო კოჰაბიტაცია თუ არ ყოფილიყო კოჰაბიტაცია. ქართული ოცნების წევრთა 80% წინააღმდეგი იყო ამ კოჰაბიტაციის და არც ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ უყურებდა დიდი სიმპათიით ნაციონალური მოძრაობის გადარჩენის პროცესს, მაგრამ როგორც ვხედავთ, რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს აქაც. სწორედ იმიტომ, რომ მათი ლიდერი დავით უსუფაშვილი იყო მოწადინებული, რომ ქართული დემოკრატიის გადასარჩენად ნაციონალური მოძრაობა გადარჩენილიყო და ნაციონალური მოძრაობა ამ ეტაპზე გადარჩენილია. რესპუბლიკელებმა ფაქტობრივად ივანიშვილის მოსაზრებასაც გაუწიეს წინააღმდეგობა და თავიანთი მოსაზრება გაიტანეს. ჯერჯერობით პროცესები ამ კუთხით მიდის და მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ და ვაფრთხილებ ყველას, მერე რომ გვიანი არ იყოს, ნაციონალური მოძრაობის დატოვება მთავარ ოპოზიციურ ძალად და

ერთადერთ ოპოზიციურ ძალად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, პირველ რიგში არის დანაშაული და მეორე მხრივ, ეს არის უდიდესი საფრთხის შემცველი მოვლენა, რომელიც თავის რეციდივებს უახლოეს ხანში გამოიღებს და ეს შეიძლება გამოუსწორებელი შედეგების მქონე აღმოჩნდეს. მე უკვე დავიღალე ამაზე საუბრით, მაგრამ ბევრ პოლიტიკოსს ეს ან არ ესმის, ან ესმის და შეგნებულად აკეთებს. ეს პოლიტიკა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გადარჩენას ემსახურება, ჩემი ღრმა რწმენით, არის მეტად სახიფათო და ძალიან ცუდი შედეგების მომტანი.

– გამოდის, რომ დღეს რესპუბლიკელები მართავენ ქვეყანას და არა ბიძინა ივანიშვილი?

– მე შემიძლია ცალსახად გითხრათ და დაგიდასტუროთ, რომ დღევანდელ პოლიტიკურ სისტემაში, რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი პირი არის ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ როგორც პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია, ყველაზე ძლიერი, მოსახლეობის მხარდაჭერის მხრივ კი არა, გავლენის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაში, არის რესპუბლიკური პარტია. მათ აქვთ უდიდესი გავლენა და ძალიან ბევრი გადაწყვეტილება, სწორედ რესპუბლიკელების ინიციატივით არის მიღებული და მეტსაც გეტყვით, ბევრ საკითხში ისინი შეეწინააღმდეგენ ბიძინა ივანიშვილს და თავისი გაიტანეს. თუნდაც ეს ბოლო, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატ ბატონ მარგველაშვილს, ჩაუგდეს მის მიერ ინიცირებული კანონპროექტი.

– რატომ მიდის ამხელა დათმობაზე პრემიერი, ის ხომ მეტ ძალაუფლებას ფლობს?

– ეს ალბათ თავად პრემიერს უნდა ვკითხოთ, რატომ მიდის ის ამ დათმობებზე და საერთოდ რატომ მოიყვანა რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების სათავეში?! ეს თავად მას უნდა ჰკითხოთ, იმიტომ, რომ თავის დროზე საუბარი იყო ფართო პოლიტიკურ სპექტრზე და არა კონკრეტულად რომელიმე პარტიაზე. დღევანდელი გადასახედიდან რომ ავიღოთ, დღეს რეალური საკანონმდებლო ხელისუფალი არის რესპუბლიკური პარტია და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც უდიდესი ბერკეტების მქონე პოლიტიკური ორგანიზაციაა. ეს პარტია ბიძინა ივანიშვილს უნდა უმადლოდეს ყველაფერს, ფაქტობრივად მკვდრეთით ბიძინა ივანიშვილმა აღადგინა რესპუბლიკური პარტია. გაიყვანა პოლიტიკურ ასპარეზზე, მისცა სახელმწიფოს მართვის უდიდესი ბერკეტები და აქცია მმართველ ძალად. დღეს საქართველოში, პარტიებს შორის გავლენებით რესპუბლიკური პარტია ბევრად წინ არის, ვიდრე ალასანია-თავისუფალი დემოკრატები, ბევრად წინ არის, ვიდრე მრეწველები და სხვა რომელიმე პარტია, რომელიც კოალიციაში შედის და ბევრად წინ არის, ვიდრე თავად პარტია ქართული ოცნება. ქართულ ოცნებაზე ბევრად უფრო ძლიერი ბერკეტები აქვს რესპუბლიკურ პარტიას. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დიდი დოზით გვაქვს რესპუბლიკური პარტიის მმართველობა საქართველოში. ამის დანახვა შეიძლება ბევრ ადამიანს არ უნდა, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გაუსწორონ და დაინახავენ, რომ რეალურად ასეა. რამდენად სარგებლობის მომტანია საქართველოსთვის, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტის კონსტატაცია და თქმა, რომ რესპუბლიკური პარტია დღეს არის ყველაზე ძლიერი ბერკეტების მქონე, თამამად შეიძლება.

– თავადაც არ მალავენ სიმპათიებს მიმართ და როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატებზე იყო საუბარი, მათ ურჩევნიათ, რომ მეორე ადგილზე ნაციონალების კანდიდატი დავით ბაქრაძე გავიდეს...

– მოდით ესე განვიხილოთ, იდეოლოგიური ბაზისი რესპუბლიკელებს და ნაციონალებს, ფაქტიურად ერთი აქვთ. ისინი ერთი იდეოლოგის მატარებელი პოლიტიკური ძალა არიან. სხვათა შორის, ისინი მეგობრებიც არიან. მაგალითად, დავით ზურაბიშვილი გახლავთ თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რა თქმა უნდა, ბოკერიას ჯგუფსა და რესპუბლიკელებს აქვთ საკმაოდ მჭიდრო ფესვები წარსულში და აწმყოშიც ერთიანი იდეოლოგიური თვალთახედვა. სადაც იდეოლოგიური თვალთახედვა იდენტურია, იქ, რა თქმა უნდა, ერთმანეთის მიმართ სიმპათიები და მხარდაჭერაც არსებობს. არც ნაციონალური მოძრაობა არ ებრძოდა თავისი მმართველობის პერიოდში განსაკუთრებული სიმძაფრით რესპუბლიკურ პარტიას და ოპოზიციაში ყველაზე პრივილიგირებულ მდგომარეობაში სწორედ რესპუბლიკელები იმყოფებოდნენ და დღევანდელ რეალობაშიც ნაციონალურ მოძრაობასთან ყველაზე კოჰაბიტირებული და ყველაზე მეტად დადებითად განწყობილი, სწორედ რესპუბლიკური პარტიაა არის. ეს არის ერთნაირი იდეოლოგიის მქონე ჯგუფი, თავის დროზე ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებული. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ერთად იყვნენ რესპუბლიკელები და თავისუფლების ინსტიტუტის ჯგუფი და მათ შორის განხეთქილება მოხდა არა იდეოლოგიურ და სახელმწიფოებრივ საკითხზე, არამედ მოხდა პირადულ დონეზე, როდესაც მათ სააკაშვილის მთავრობაში როლები და გავლენები ვერ გადაინაწილეს. ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისინი ერთად არიან, ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან და უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით რესპუბლიკელებს ურჩევნიათ, რომ ნაციონალური მოძრაობა, რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩეს პოლიტიკურ ავანსცენაზე და ნაციონალური მოძრაობა იყოს ერთადერთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილზე გავიდეს სწორედ ნაციონალური მოძრაობა.

– მოსახლეობა რამდენად დაუშვებს ამას?

– ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა 70 და მანამდე 200 წლის მანძილზე იმდენად დაამონეს, რომ მას ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დონის პოლიტიკური ტიტანები სჭირდება ხოლმე რომ გამოაფხიზლოს ხოლმე საღათას ძილიდან. ჩვენ ვნახეთ, რომ მას შემდეგ, რაც ეს დიდი ადამიანები მოკლეს, 12 წელი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საღათას ძილიდან ვერავინ ვერ გამოაფხიზლა საქართველო. შემდგომში, სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ეძინა საქართელოს საღათას ძილით... ჩვენდა სამწუხაროდ, დავძაბუნდით ეტყობა, ბევრ რამეს წიონააღმდეგობას ვერ ვუწევთ და ბევრ რამეში საქართველოს მოსახლეობა იმ გადამწყვეტ სიტყვას ვერ ამბობს, რომელი სიტყვაც მან უნდა თქვას. ჩვენი მოსახლეობა ტელევიზიის ტყვეობაშია და როგორ შეფუთულსაც მიართმევენ პროდუქტს, იმ პროდუქტს იღებს. ხშირ შემთხვევაში ეს პროდუქტი ნაგავია, მაგრამ იმდენად ლამაზად შეფუთულს სთავაზობენ, რომ ისიც იჯერებს და მხარდაჭერას უცხადებს იმ ნაგავს. დღესაც შეიძლება ჩვენ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, გავხსნათ ეს ოქროვერცხლით შეფუთული პროდუქტი და შიგნით აღმოჩნდეს ნაგავი. ძალიან ცუდი იქნება თუ ხალხს ხელში ნაგავი შერჩება. მოსახლეობას გამოფხიზლება სჭირდება, გამომფხიზლებელი ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ ჩანს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც მოსახლეობის გამოფხიზლება შეუძლია, ეს ბიძინა ივანიშვილია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის მართვის ბერკეტები თავიდან ბოლომდე რესპუბლიკურ პარტიას ჩააბარა. ღირსია საქართველო რესპუბლიკელების და თავისუფლების ინსტიტუტის მმართველობის.

– ხომ არ გამოვა ისე, რომ პრეზიდენტის მართვასაც შეძლებენ რესპუბლიკელები, რადგან საუბარია, რომ მარგველაშვილი საკმაოდ გამოუცდელია პოლიტიკაში და ის საკმაოდ სუსტი პრეზიდენტი იქნებაო...

– თუკი ყველაფერი წარიმართა იმ სცენარით, რა სცენარიც ლუის ნავარომ დაგვიდო, რა თქმა უნდა, ასე იქნება და რესპუბლიკელების ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზრდება. რესპუბლიკელები უკვე პირდაპირ აცხადებენ, დავით ბერძენიშვილმა ღიად განაცხადა, რომ მომავალი საქართველო იდგება სამ ვეშაპზე. ერთი ვეშაპი არის ბიძინა ივანიშვილი, მეორე ვეშაპი-დავით უსუფაშვილი და მესამე ვეშაპი არის გიორგი მარგველაშვილი. მან ფაქტობრივად, გავლებით, დავით უსუფაშვილი გაუთანაბრა ბიძინა ივანიშვილს. აი, ამას დაუკვირდით. რესპუბლიკელები სწორედ ისე ფიქრობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს ისინი უყოფენ ხელისუფლებას და ძალაუფლებას. თუმცა ერთია, რასაც უყურებ და მეორეა, რაც ჰორიზონტზე ჩანს, ხომ თვალნათელია ყველასთვის, რომ პირველ ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ ხმა მისცა ნაციონალური მოძრაობის დამარცხებას, სააკაშვილის წასვლას და ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას. ასევე მან ხმა მისცა თუ პიროვნულად ავიღებთ არა კოალიციაში შემავალ რომელიმე პარტიას, არამედ ხმა მისცა პირადად ბიძინა ივანიშვილს. თუმცა ჩვენ სახეზე მივიღეთ სულ სხვა რამ. ხელისუფლებას მართავენ სულ სხვა ძალები და ეს ძალები თანდათან ძლიერდებიან. როდესაც მილიონ ლარზე მეტით ფინანსდებიან პოლიტიკური ძალები წლის განმავლობაში, ახლა იმას როგორ შეიძლება შეებრძოლო შენ შიშველი ხელებით? მაგალითად, რესპუბლიკურ პარტიას მილიონ ორასი ათასი ლარი აქვს ჩვენი ჯიბეებიდან, ჩემი და თქვენი ჯიბეებიდან გადახდილი გადასახადებით. ანუ თვეში ასი ათასი ლარი. როგორ შეიძლება, სხვა ოპოზიციური და ეროვნულ-იდეოლოგიური ძალები, რომელსაც თვეში ასი ლარიც არა აქვს დაფინანსება, ის შეებრძოლოს?! და ამას ჩვენ დავარქვათ თანაბარი პოლიტიკური ველი. ან უფრო უარესსაც გეტყვით, სამ მილიონ ლარზე მეტით ფინანსდება ნაციონალური მოძრაობა წელიწადში და საუბარია კიდევ გავუზარდოთო. წარმოიდგინეთ, რამხელა დანაშაულს ჩადიან ხალხის წინაშე, როდესაც ჩვენი ფულით, დამნაშავე პოლიტიკურ ორგანიზაციას აფინანსებენ. ჩვენ არასაპარლამენტო ოპოზიციას ფაქტიურად დღეს გვაგდებენ იმაზე უფრო არათანაბარ პირობებში, ვიდრე ეს იყო ნაციონალური მოძრაობის დროს.

ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულებულია. შემაჯამებელი ბრიფინგი გუშინ, გამოცდების ეროვნულ ცენტრში გაიმართა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, საგამოცდო პროცესმა ექსცესების გარეშე ჩაიარა. პროცედურული დარღვევების გამო, გამოცდიდან მხოლოდ 2 აბიტურიენტი და 3 პედაგოგი მოიხსნა.

გამოცდაზე, აბიტურიენტთა მხოლოდ 2%, პედაგოგთა 13%, მაგისტრანტობის კანდიდატთა 11% და გრანტის გაუმჯობესების მსურველთა 8 % არ გამოცხადდა. წელს, აპლიკანტთა უპრეცედენტო რაოდენობის გამო, საქართველოს 12 ქალაქში 18 საგამოცდო ცენტრი მოქმედებდა.

2013 წლის გამოცდებისთვის 42 000-მდე აბიტურიენტი, 8 000-ზე მეტი გრანტის გაუმჯობესების მსურველი, 9 500-ზე მეტი მაგისტრანტი და 25 000 – ზე მეტი მასწავლებელი დარეგისტრირდა.

აღსანიშნავია, რომ აბიტურიენტთა უმრავლესობამ, – 30 000 – მდე ახალგაზრდამ, უცხო ენად ინგლისური აირჩია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, ყველაზე მეტმა – 14 500-მდე აბიტურიენტმა ისტორია აირჩია.

გამოცდებში წელს 200-მდე სპეციალური საჭიროების მქონე პირი, 9 პატიმარი და 180-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქე მონაწილეობდა.

ბრაილის შრიფტით გამოცდა, ოთხმა პედაგოგმა და ერთმა აბიტურიენტმა ჩააბარეს.

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტებს საშუალება აქვთ პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგაც, არჩეული უმაღლესი სასწავლებლების ჩამონათვალი, საგანმანათლებლო პროგრამები (ფაკულტეტები), მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა შეცვალონ. პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ამგვარი სისტემა, აბიტურიენტს გაცილებით რეალისტური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევს.

შეგახსენებთ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდები – 27 ივნისს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და 17 ივლისს ფიზიკის გამოცდით დასრულდა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ალასანია: „დარწმუნებული ვარ, ჩვენს მოქალაქეებს გამოვიხსნით“

ნათია ხურცილავა

თავდაცვის მინისტრმა შიდა ქართლში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. ექსპერტების მიერ მცოცავ ანექსიად შეფასებული პროცესი კვლავ გრძელდება. მავთულხლართების გაბმის პროცესს ადგილობრივი მოსახლეობის აყვანა და დაკავებაც ახლავს თან.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, რუსი მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქეების გატაცება, ეს არ არის ადგილობრივი შემოქმედება და ეს მოსკოვიდან მოდის.

– დარწმუნებული ვარ, ჩვენს მოქალაქეებს გამოვიხსნით, მაგრამ შეფასება ერთადერთი შეიძლება იყოს – ეს არ არის ადგილობრივი თვითშემოქმედება, ეს დაშვებული იყო ალბათ მოსკოვიდან, სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან. ამიტომ ამას სჭირდება ძალიან სერიოზული მოლაპარაკება, თავად ჟენევის ფორმატი ამ კუთხითაც ამოქმედდება, – აღნიშნა ალასანიამ.

საქართველოში სამუშაო ვიზიტით სომხეთის თავდაცვის მინისტრი იმყოფება.

გუშინ, თავდაცვის მინისტრმა თავის სომეხ კოლეგას უმასპინძლა. ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველო-სომხეთის ურთიერთობები ახალი მთავრობის პრიორიტეტია და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონალური უსაფრთხოებისთვის.

აღნიშნული განცხადება ალასანიამ სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ სეირან ოჰანიანთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე გააკეთა.

– მე მინდა, სომხეთის თავდაცვის მინისტრს მადლობა გადავუხადო, რომ ის დათანხმდა ჩემს მოწვევას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ისტორიული, მეგობრული და ძმური ურთიერთობები, რომელიც ქართველ და სომეხ ხალხს აკავშირებს. დღევანდელ შეხვედრაზე განვიხილეთ გეგმით განსაზღვრული ორმხრივი თანამშრომლობის სტადია და შევთანხმდით, რომ თანამშრომლობა ზუსტად განსაზღვრული გეგმით მიდის, რომელიც 2013 წელს დავსახეთ და ვისაუბრეთ ასევე იმ პრიორიტეტებზე, რაც ჩვენს ურთიერთობებში იქნება 2014 წლისთვის. მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ორმხრივი ურთიერთობები სომხეთსა და საქართველოს შორის არის პრიორიტეტული ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მთავრობისთვის და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონალური უსაფრთხოებისთვის, – აღნიშნა ალასანიამ.

სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან ასევე გუშინ შეხვედრა გამართა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. შეხვედრა „თბილისი მარიოტში“ დახურულ კარს მიღმა გაიმართა.

კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც უნდა გამართულიყო, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი ირწმუნება, თავდაცვის მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით არ შედგა, რასაც უარყოფს პრემიერ ივანიშვილის პრესსამსახური, რადგან მასგავსი შეხვედრა დაგეგმილი არ ყოფილა.

ევროპარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარის არნო დენჟანის განცხადებით, დეტლეგაცია საქართველოში მონიტორინგის მისიის ფარგლებში იმყოფება და, სამწუხაროა, რომ პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს ვერ ხვდება.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ევროპარლამენტარებთან ჩანიშნული არ ყოფილა და, შესაბამისად, ვერც გაუქმდებოდა.

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა გააუქმეს შეხვედრა ევროპარლამენტარებთან, რომელიც თითქოს დღეს, 17 ივლისს უნდა გამართულიყო, სიმართლეს არ შეესაბამება. პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ევროპარლამენტარებთან ჩანიშნული არ ყოფილა და, შესაბამისად, ვერ გაუქმდებოდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ემზადება უმნიშვნელოვანესი ვიზიტისთვის, რომელიც პოლონეთსა და ლიტვაში გაიმართება, რის გამოც ასეთი შეხვედრა ვერც დაიგეგმებოდა. რაც შეეხება თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, მისი შეხვედრა ევროპარლამენტარებთან ასევე არ იყო დაგეგმილი, რადგან მინისტრი მასპინძლობს თავის კოლეგას – სომხეთის თავდაცვის მინისტრს და ეს შეხვედრა დიდი ხნის წინ დაიგეგმა, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში ქარის სადგურების მშენებლობა იწყება

ნათია ხურცილავა

ვიცე-პრემიერმა, კახა კალაძემ გუშინ საქართველოს მთავრობა „ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

ენერგეტიკის მინისტრმა ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი კითხვა კომპანია „თელასში“ არსებულ ვითარებას ეხებოდა. როგორც გაირკვა, ხშირად სახეზე იყო კორუფციული გარიგებები.

მინისტრის განცხადებით, კომპანია „თელასში“ კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია.

მისი ინფორმაციით, გამოძიება სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს.

კალაძის თქმით, შესყიდვებთან დაკავშირებით ხშირად ტენდერები ტარდებოდა, რომლებსაც ხშირადვე „თელასში“ მომუშავე მაღალჩინოსნებისა და მათთან დაახლოებული პირების მიერ შექმნილი კომპანიები იგებდნენ.

მინისტრის განცხადებით, ეს დიდ თანხას უკავშირდებოდა.

– ჩვენი ინტერესია, კომპანია გამართულად მუშაობდეს. მასში 25 პროცენტი სახელმწიფოს წილია და ამდენად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი საქმიანობა გამართული და ხარვეზების გარეშე იყოს, – აღნიშნა კახა კალაძემ.

რაც შეეხება „ყაზტრანსგაზს“ და იქ მიმდინარე მოვლენებს, კალაძის ინფორმაციით, დაწყებულია პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს „ყაზტრანსგაზის“ ყაზახური მხარისთვის ოფიციალურად უახლოეს მომავალში გადაცემას.

– მოგეხსენებათ, ჩვენ ყაზახეთში ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდით და ჩვენი მხრიდან გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კომპანია ყაზახურ მხარეს დავუბრუნოთ. დაწყებულია მუშაობა. ჩვენ სამუშაო ჯგუფის ჩამოსვლას ველოდებით, რომელიც თბილისს უახლოეს მომავალში ეწვევა და უკვე ოფიციალურად მოხდება ამ კომპანიის გადაცემა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მათი მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით მოხდეს ინვესტიციების განხორციელება და უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ ყაზახეთიდან ძალიან დიდი ინტერესია და ჩვენ ამ ყველაფერს ხელს შევუწყობთ. რა თქმა უნდა, კითხვები არსებობდა როგორც მათი, ისე ჩვენი ფინანსთა სამინისტროს მხრიდან. მე მხედველობაში მაქვს ვალები და ამ საკითხზე გადაწყვეტილება ამ ორი სამინისტროს მიერ იქნება მიღებული, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ვალების რესტრუქტურიზაცია, – განაცხადა კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის პოსტთან დაკავშირებით. კალაძის განცხადებით, აღნიშნულ თანამდებობაზე პიროვნება პოლიტიკური ნიშნით შერჩეული არ უნდა იყოს.

როგორც კალაძემ განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი კომისია სრულიად დამოუკიდებელი იყოს.

– ამ ორგანოს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენერგეტიკაში. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ კანდიდატურა პოლიტიკური ნიშნით შერჩეული არ იყოს. არსებობს პროცედურები და ჩვენ მაქსიმალურად დავიცავთ მათ. ჩვენ გვინდა, ძლიერი ორგანო ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ენერგეტიკას განვითარების შემდეგ ეტაპებზე მაქსიმალურად დაეხმარება, – აღნიშნა კალაძემ.

როგორც ცნობილია სემეკის მოქმედ თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს თანამდებობაზე ყოფნის ვადა აგვისტოში ეწურება.

კალაძის განცხადებით, უახლოეს პერიოდში საქართველოში „რუსჰიდროს“ ხელმძღვანელობის ვიზიტი იგეგმება.

როგორც კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლები საქართველოში უკვე რამდენჯერმე იმყოფებოდნენ და დაგეგმილ პროექტებს გაეცვნენ.

– ჩვენ გავაცანით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით არაა მიღებული. უახლოეს პერიოდში კომპანიის ხელმძღვანელი ჩამოვა, გვექნება შეხვედრა და, სავარაუდოდ, კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით შევთანხმდებით, – ამბობს კალაძე.

ენერგეტიკის მინისტრმა ჰესების მშენებლობის საკითხზეც ისაუბრა. როგორც ვიცე-პრემიერი აცხადებს, „ნამახვანეჰესის“ მშენებლობა საერთოდ არ დაწყებულა.

მინისტრის თქმით, ძალიან ხშირად იყო საუბარი იმაზე, თითქოს მთავრობამ მისი მშენებლობა შეაჩერა.

როგორც აღვნიშნეთ, კალაძე განმარტავს, რომ აღნიშნული ჰესის მშენებლობა საერთოდ არ დაწყებულა და შეუძლებელი იყო მისი მშენებლობა შეჩერებულიყო.

– დასრულებული პროექტი ჯერ არ გვაქვს და, შესაბამისად, ვერც ჰესის მშენებლობის დაწყების გადაწყვეტილებას მივიღებთ. დაქირავებული გვყავს იტალიური კომპანია, რომელიც სწორედ ამ პროექტის დასრულებასა და სრულყოფაზე იმუშავებს. როცა სრულყოფილი სურათი გვექნება და პროექტიც შეკრული იქნება, მას რომელიმე ინვესტორს წარვუდგენთ. ეს თემა საზოგადოებისათვის მიჩუმათებული არ იქნება, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ვიცე-პრემიერმა ასევე ისაუბრა 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე. კალაძე ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ უმნიშვნელოვანესია საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს.

კალაძე ასევე აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა საპრეზიდენტო კანდიდატები თანაბარ წინასაარჩევნო პირობებში იყვნენ.

– მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე როგორი წინასაარჩევნო პერიოდი იყო ქვეყანაში, ყველას გვახსოვს, გვახსოვს, როგორ ეპყრობოდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და როგორი ძალადობა მიმდინარეობდა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე არსებულ პერიოდში ყველა კანდიდატის უფლებები იქნება დაცული. ჩვენი მთავრობა ამის გარანტიას იძლევა, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ისევ ენერგეტიკის სფეროს რომ დავუბრუნდეთ, ენერგეტიკის მინისტრმა პრესას განუცხადა, რომ აჭარაში ჰესების მშენებლობაა დაგეგმილი.

კალაძის განცხადებით, „ტატა ჯგუფსა“ და ნორვეგიულ კომპანია „კლინენერჯის“ აჭარაში მდინარე აჭარის წყალზე ოთხი ჰესის აშენება აქვთ გადაწყვეტილი.

მისი თქმით, ჰესების საერთო სიმძლავრე 400 მეგავატი იქნება. პროექტის განსახორციელებლად 600-700 მილიონი დოლარის ინვესტიცია დაიხარჯება. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში უკვე წარდგენილია. მშენებლობის ნებართვის საკითხზე გარემოს დაცვის სამინისტროსგან ენერგეტიკის უწყება დღეისთვის ელოდება.

კალაძის შეფასებით, აღნიშნული პროექტის შესრულება ენერგეტიკის მდგრადობისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელი გახდეს.

კიდევ ერთი, რაზეც მინისტრმა ისაუბრა, ალტერნატიულ ენერგიას ეხებოდა. კახა კალაძემ განაცხადა, რომ საქართველოში ქარის სადგურების მშენებლობა იწყება.

ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ პირველი პროექტი საპილოტე იქნება. ლაპარაკია 20 მეგავატი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის შექმნაზე. მომდევნო კვირაში სამინისტრო იმ მიწას დაიკანონებს, რომელზეც აღნიშნული სადგური აიგება, შემდეგ კი იქ სათანადო ხელსაწყო დაიდგმება, რომელიც ქარის მიმართულებას განსაზღვრავს.

რაც შეეხება „შაჰდენიზს“, მისი მილსადენის გამტარუნარიანობა 16 მილიარდი კუბური მეტრით იზრდება.

კახა კალაძის თქმით, მილსადენის გამტარუნარიანობის გაზრდისათვის საჭირო ერთი მილიარდი დოლარის ინვესტიცია საქართველოში დაიხარჯება.

როგორც კალაძე განმარტავს, გამტარუნარიანობის ზრდაზე შესაბამისი გადაწყვეტილება კონსორციუმმა მიიღო.

ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს, რომ აღნიშნული პროექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

– გარდა ამისა, არსებული მილის გამტარუნარიანობის ზრდა საქართველოს საშუალებას მისცემს მიიღოს დამატებითი ბუნებრივი აირი, რაც ქვეყანას დარჩება. შესაბამისი სამუშაოები ნინოწმინდაში ჩატარდება. იქ საქაჩი კომპრესორები დაიდგმება, რომლებიც არსებულ მილში დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის გატარებას დაეხმარება, – განმარტა კახი კალაძემ.

ენერგეტიკის მინისტრი გაზიფიცირების პრობლემასაც შეეხო. მისი განცხადებით, პროცესი დედაქალაქში დასრულებულია, თუმცა რეგიონებში აღნიშნული სამუშაოები დარჩენილია.

კახა კალაძის თქმით, 2015 წლის ბოლოსთვის საქართველოს მასშტაბით დარჩენილი 150 ათასი ოჯახის გაზიფიცირება დასრულებული იქნება.

თბილისში გაზიფიცირება უკვე დასრულებულია. დარჩენილები არიან ის დევნილები, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები დარეგისტრირებული არ აქვთ, – ამბობს კალაძე.

რეგიონებში 2014 წლის ბოლოსთვის, დაახლოებით, 80 ათასი აბონენტის გაზიფიცირება იგეგმება. როგორც კალაძე აღნიშნავს, იმ ოჯახებს, რომელთაც გაზიფიცირება სურთ, გაზის შეყვანისთვის შეუძლიათ გამანაწილებელ კომპანიას 25 ლარი გადაუხადონ.

ბაჩო ახალაია: „წამების და ძალადობის ამსახველი ვიდეოების უკან კონკრეტული პირები დგანან“

ნათია ხურცილავა

თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი კვლავ გრძელდება. როგორც ცნობილია, ძიება ორი მიმართულებით მიმდინარეობს. სასამართლო იძიებს ბაჩო ახალაიას როგორც თავდაცვის მინისტრობის პერიოდს, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის ეპიზოდს.

ბაჩო ახალაია ამჯერად წამების ამსახველ ვიდეომასალაზე „ფეისბუკის“ მეშვეობით საუბრობს.

ბაჩო ახალაიამ კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნავს, რომ წამების და ძალადობის ამსახველი ვიდეოების უკან კონკრეტული პირები დგანან და ამ დანაშაულთა წარმოჩენა სისტემურ მოვლენად პოლიტიკური სპეკულაციაა.

ამავე დროს, ყოფილი მინისტრი მოითხოვს, რომ სასწრაფოდ გამოვლინდნენ და დაისაჯონ პირები, რომლებიც მსგავსი ქმედებების უკან დგანან.

განცხადებაში ნათქვამია:

– ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ძალიან ბევრი მიმართულებით წარმატებით განხორციელდა მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო რეფორმები. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში კონკრეტული ადამიანები, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სჩადიოდნენ ამა თუ იმ დანაშაულს, რითაც ქვეყანას მიაყენეს უდიდესი ზიანი.

უდავოა, რომ წამების ფაქტების გამოძიება პრიორიტეტული უნდა იყოს და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ კანონის მთელი სიმკაცრით, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ხელისუფლების პირობებში იქნება ეს დანაშაული ჩადენილი – მოქმედი თუ წინა ხელისუფლების დროს. სამწუხაროდ, ბედუკაძის და მისი თანამოაზრეების პროკურატურის მხრიდან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული დანაშაულის უკან დგანან კონკრეტული პირები და ამ დანაშაულის განზოგადება და სისტემურად წარმოჩენა არის გაუმართლებელი და მიუღებელი. ამაზე საუბარი პოლიტიკური სპეკულაციაა და ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობას. ასეთი მიდგომა შეურაცხყოფს ათი ათასობით ღირსეულ საჯარო მოხელეს, რომელიც კეთილსინდისიერად ემსახურებოდა და ემსახურება საქართველოს, – წერს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ბაჩო ახალაია.

ბათუ სალინაძე: „ტარიელ ონიანმა ირაკლი ოქრუაშვილს 2 მილიონი გადაურიცხა“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ პოლიციის პოლკოვნიკთან, ლევან კალაძის გატაცებისა და მკვლელობის საქმის გამომძიებელ ბათუ სალინაძესთან

– ბატონო ბათუ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, რომ სპეცნაწილში, შს სამინისტროს რჩეული გვარდია რომ იყო, ჩასმული ჰყავდათ ამ გატაცებების ერთ-ერთი მონაწილე. ვინ იყო ის პიროვნება? ორგანიზატორი იყო თუ ერთ-ერთი გამტაცებელი?

– ერთ-ერთი ორგანიზატორი.

– ორგანიზატორებს შორის ადრე თქვენ ასახელებდით გვაზავას და სხვებს.

– არა, არა, გვაზავა არ არის.

– მაშინ ვინაა და რატომ უნდა ჰყოლოდათ ის ჩასმული სპეცნაწილში?

– ფაქტობრივად, ის გამტაცებლები, ვინც გააკეთა ორგანიზაცია (ასათიანი და სხვები) სხვა დანაშაულობებისა და გატაცებებისა, ფაქტობრივად, სრულ ნდობაში იყვნენ მაშინდელ გენერალიტეტთან – გვაზავებთან და სხვებთან და ასეთები ვინც არიან, ყველასთან. ამიტომ, როცა რაიმე პრობლემა წამოიჭრებოდა, მათთან ერთად წყვეტდნენ ყველაფერს.

– თუმცა, ბოლოს ასათიანი და სხვები ჩასვეს, თვითონ კი მშრალად გამოვიდნენ.

– რა თქმა უნდა, მათი მიზანიც ეს იყო. ამიტომ მიწყობდნენ დაპირისპირებას და უბედურებას. გათვლილი იყო, რომ ხნიერი ვარ, ვეღარ მოვითმენ. ოჯახი დამინგრიეს. უნდათ, არ ვიყო, მიიმალონ და ყველაფერი შერჩეთ. ახლა მე არ დამისახელებია ერთი პიროვნების გვარი, ვინც დაინახა, იცნო მოქმედებით, სპეცფორმაში ჩაცმული და ვინც მე მითხრა. მის გვარს ჯერ ვერ ვიტყვი. ვფიქრობ, გამოძიება უნდა წარიმართოს. ახლა წინასწარ რომ ვთქვა, მაშინ ინფორმაციის მომწოდებლის ჩვენებას ფასი დაეკარგება.

– თქვენ ამ საკითხის გამოძიებას ითხოვთ?

– რა თქმა უნდა, უნდა გამოიძიონ და ყველამ პასუხი აგოს. მე ოფიციალურად ვაცხადებ, რადგან ღმერთმა ასე ინდომა, 7 წელი რა არ სცადეს, ვინ არ მომიგზავნეს, მაგრამ უფლის ნებით პოლიტპატიმრად გამოვედი, ყველა მათგანი უნდა იქნას მხილებული, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული ოქრუაშვილით. აფრასიძეებთან ოპერაციას რომ ატარებდნენ, რა უნდოდა იქ მერაბიშვილს, ადეიშვილს, ბიწაძეს? ასახელებენ, რომ იქ იყო. მთელი უფროსობა წავიდა და სასაზღვრო ჯარის უფროსის წაყვანა რით იყო განპირობებული? საზღვარზეა, ალბათ, და იმიტომ წაიყვანეს. თუმცა, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მან რაიმე დანაშაულებრივი მონაწილეობა მიიღო. რაც შეეხება დანარჩენებს, თავიდან ბოლომდე იციან ყველაფერი. ამიტომ მტანჯავენ მე. საქმეები არ არის გამოძიებული. ყველა საქმე დახურულია. ყველამ უნდა აგოს პასუხი. ამას არ უნდა დიდი იურისტობა და ცოდნა, რომ რაც მაგათ ჩაიდინეს, დანაშაულია. საქმე ჩემს განკარგულებაში იყო. ვიძიებდი აბსოლუტურად ნორმალურად და ფარულად ოპერაცია ჩაატარეს. ეს არის კლასიკური სახე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა აგოს პასუხი პრეზიდენტმა, რომელმაც 2009 წელს აღიარა, განკარგულება მე გავეცი.

– როდესაც თქვენ საუბრობთ ოქრუაშვილისთვის დიდი ოდენობით ფულის 2 მილიონის გადახდაზე, სააკაშვილი არ მონაწილეობდა იმ საქმეში?

– იმ პერიოდში, რა თქმა უნდა, არა.

– ანუ სააკაშვილის გვერდის ავლით მოხდა ონიანის მიერ ფულის გადახდა ოქრუაშვილისთვის?

– დიახ. როცა ის მე დამეჯახა და კაბინეტიდან სასწაული ფორმით გამომაგდო, კაცობის რაიმე თუ ჰქონდა, უნდა გესროლა. ეგ ვიგინდარები რომ შემოვიდნენ და გამომაგდეს კაბინეტიდან, რა თქმა უნდა, ეს არ იყო შეთანხმებული.

– ანუ, როცა კალაძის საქმე ჩამოგართვეს, მაშინ გამოგაგდეს კაბინეტიდან?

– კაბინეტში შემოვიდნენ და გამომაგდეს ისე, როგორც მათხოვარს გააგდებ. მაშინ უნდა მესროლა, მაგრამ ვუთხარი, რა გესროლოთ-მეთქი თქვენ, უვიცები ხართ. მე ვიცი, რომ 3-4 თვის განმავლობაში ეგ ცდილობდა, ოქრუაშვილს უკან დაეხია და სიტუაცია დარეგულირებულიყო, მაგრამ ოქრუაშვილს ფეხებზე ეკიდა.

– სააკაშვილი ცდილობდა სიტუაციის დარეგულირებას?

– დიახ, ცდილობდა, მაგრამ მერე, როცა სიღრმეში შევიდნენ, რა თქმა უნდა, ვეღარ დაარეგულირა. სააკაშვილი ოქრუაშვილს ვერც ვერაფერს ვერ მოსთხოვდა. სააკაშვილი ოქრუაშვილზე, ფაქტობრივად, დამოკიდებული იყო.

– რანაირად?

– სადაც იყო ფული ასაღები, დასაშინებელი, გასაყიდი და წასაღები, ოქრუაშვილი აკეთებდა ყველაფერს. აქ მაქვს ახლა ორი გაზეთი, სადაც არის საქართველოს მთავარი პროკურორის კბილაშვილის ორი განცხადება, რომ შემოქმედი იმ დანაშაულებრივი წყობისა და ქმედებისა, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა, ძირითადად შემსრულებელი იყო ოქრუაშვილი.

– აბა, სააკაშვილი თავისი ხელით ხომ არ გააკეთებდა?

– არა. ეს განცხადება არჩევნების წინ თეა წულუკიანმა გაამაგრა, რომ მთელ იმ უბედურებას, რაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა (დანაშაულებრივი წყობილება), ტრიბუნებიდან ქადაგებდა სააკაშვილი, ხოლო, ფაქტობრივად, ასრულებდა ირაკლი ოქრუაშვილი. შემსრულებელი იყო ოქრუაშვილი, ყველაფრის გამმაგრებელი – მკვლელობები, ყველაფერი ჩამოთვლილი იყო, რა უბედურებაც გააკეთეს. წულუკიანმა მაგალითად მოიყვანა შემდეგი: „მაგალითად, ბათუ საღინაძის ფეხმძიმე რძალი ოქრუაშვილმა კისრისტეხით გამოაგდო საცხოვრისიდან“. იმ ფონზე ამან იმუშავა. ახლა უკან რომ იხევენ, ეჭვი მეპარება.

– რაში?

– ეჭვი მეპარება, რა ძალაა, რომ ამაზე იმოქმედა?

– კოჰაბიტაცია.

– მეშვიდე თვეა გამოსული ვარ ციხიდან, პოლიტპატიმარი. ჩემი გაჩერება შეუძლია მხოლოდ ტყვიას, მეტს არაფერს. არ მინდა ევროპა ისევ ავახმიანო და უბედურება იყოს. ყველაფერს ვითმენ, რომ აფხაზებთან ძირითადი ხიდი მე ვარ. არაფერს არ აკეთებენ და ეჭვი მეპარება, რა ხდება, ძველი ძალები ისევ ხომ არ მოქმედებენ.

– ცხადია, ძველი ძალები მოქმედებენ, რადგან სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტად ითვლება.

– სააკაშვილი ისეთივე პრეზიდენტია, როგორც მე ვარ ახლა ესპანეთის პრეზიდენტი. ეს დასაბუთებაა – მთავარი პროკურატურა და იუსტიციის მინისტრი აცხადებენ, რომ ყველაფრის შემოქმედი ოქრუაშვილია. ოქრუაშვილი კი ახლა ემზადება, რომ რაღაც ფორმით პოლიტიკაში მოვიდეს. ამის წინააღმდეგი ვარ მე და ვიტყვი: ის 2 მილიონი ევრო ისე მიიღო ოქრუაშვილმა, აზრზეც არ იყო.

– ონიანს რატომ უნდა ჩამოერიცხა ოქრუაშვილისთვის 2 მილიონი? ის ხომ ქურდია და ქურდებს ხომ იქით ურიცხავენ ფულს?

– ჯაბა იოსელიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არა ქურდი ხარო, არავის უთქვამს, სახელმწიფო საქმეებს მართავდა. მიცნობდა ისე, როგორც უნდა ვცნობოდი ქურდს და ისე ვიცნობდი მე, როგორც ქურდს. მან იცოდა ჩემი ფასი. როცა გაიგო, რომ საღინაძემ კალაძის საქმეს მოჰკიდა ხელი და იცის ჩემი წონა, რამდენი კანონიერი ქურდი მე დავიჭირე...

– ანუ ონიანმა ფული ჩამოურიცხა, რომ თქვენ გაეჩერებინეთ სააკაშვილსა და ოქრუაშვილს?

– ონიანი უტვინო არ არის. განსაზღვრა. გაიგო, ვის აქვს წარმოებაში საქმე და ვისაც რომ სიტყვა ეთქმოდა, უთხრა, იქ ხომ თქვენ შემოწირულობებს გიკეთებენ, სპეცანგარიშები გაქვთ... ხომ იცით, აუარებელი ფული რომ შედიოდა სპეცანგარიშებზე?

– დიახ, ვიცი.

– ზოგს ძალით არიცხვინებდნენ, ზოგს – თხოვნით. ონიანმა უთხრა, მომეცით თქვენი სპეცანგარიშის ნომერი და მეც შემოვწირავ რაღაცასო. როცა სპეცანგარიშის ნომერი მისცეს, შემოწირა 2 მილიონი ევრო. ვინც იქ იყო, გაიგო და ოქრუაშვილს უთხრა, ონიანმა 2 მილიონი ჩამორიცხაო. ოქრუაშვილმა ჰკითხა, რამე გთხოვა, რამე უნდაო? არაო. შეეკითხე, რამე ხომ არ უნდაო. შეეკითხა. ონიანმა უპასუხა, არაფერი არ მინდა, კალაძის საქმეს საღინაძე ჩამოაშორეთო. ამას მე ვგებულობ მეორე დღესვე, მაგრამ არ ვიჯერებ. მერე, დრო რომ გავიდა, დავიჯერე.

– ხომ არ იცით, ის 2 მილიონი სად წავიდა?

– ის ორი მილიონი სპეცანგარიშზე დაჯდა.

სანდრა რულოვსის გამო ავიარეისი შეფერხდა

შორენა გონგლაძე

„რატომ შეფერხდა რეისი, რომლითაც ელჩებმა და პირველმა ლედიმ იფრინეს თბილისამდე“ - ამ სათაურით აქვეყნებს ინფორმაციას ინტერნეტგამოცემა „ნეტგაზეთი“, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს სახალხო დამცველს, ევროკავშირის სპეციალურ მრჩეველს საქართველოს მთავრობისთვის სამართლებრივ, კონსტიტუციურ რეფორმასა და ადამიანის უფლებების სფეროში თომას ჰამერბერგს, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 3 საათის განმავლობაში მოუწიათ მოცდა, სანამ თბილისში გამოფრინდებოდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა „ნეტგაზეთს“ განუცხადა, რომ მან სხვა მგზავრებთან ერთად ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში რეგისტრაციის გავლის შემდეგ შეიტყო, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებული პრობლემის გამო, რეისი რამდენიმე საათით გადაიდო, რის გამოც იძულებული გახდნენ დაახლოებით სამი საათი მოეცადათ. შემთხვევა 12 ივლისს მოხდა. ამ დღეს ბათუმში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელშიც საქართველოს მთავრობის წევრები, ელჩები და სხვადასხვა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობდნენ.

უჩა ნანუაშვილის თქმით, მას და იქ მყოფ სხვა მგზავრებს წინასწარ არ მიუღიათ გაფრთხილება, რომ რეისი გადაიდებოდა, თუმცა, თვითმფრინავში გამოფრენამდე ამოვიდა საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, რომელიც სხვა მგზავრებთან ერთად აეროპორტში არ იმყოფებოდა.

ავიაკომპანია „აირზენაში“ „ნეტგაზეთს“ დაუდასტურეს ინფორმაცია, რომ 12 ივლისს ბათუმი-თბილისის რეისი ნამდვილად გადაიდო იმის გამო, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რამდენიმე საათით დაკეტილი იყო ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი.

– ჩვენ გვაქვს თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ამასთან დაკავშირებით მიღებული ოფიციალური დოკუმენტი და თუ საჭირო გახდა, გამოვაქვეყნებთ“, – ამბობენ „აირზენაში“.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში აცხადებენ, რომ ყოველ წელს ზაფხულობით მიმდინარეობს ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გეგმიური შეკეთება დროის იმ მონაკვეთში, როცა ფრენები არ ხორციელდება და აეროპორტი უთანხმდება ავიაკომპანიებს, რომ არ შეფერხდეს რეისების განხორციელება.

„აირზენაში“ განაცხადეს, რომ 12 ივლისს თბილისის აეროპორტიდან დაგვიანებით მიიღეს შეტყობინება ტექნიკური შეფერხების თაობაზე და ამის გამო, მგზავრების ნაწილის წინასწარ გაფრთხილება რეისის გადადების შესახებ მოხერხდა, ნაწილის კი ვეღარ. სწორედ ამით ხსნიან კომპანიაში იმ ფაქტს, რომ მგზავრების ნაწილს აეროპორტში რამდენიმესაათიანი ლოდინი მოუხდა, სანდრა რულოვსი კი იმ დროს მივიდა, როდესაც გადადებული რეისი შესრულდა.

რატომ დაერივნენ ბორდელებს

შორენა გონგლაძე

– ამბობენ, რომ პოლიტიკა მეორე უძველესი პროფესიაა, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მას გაცილებით მეტი საერთო აქვს პირველ უძველეს პროფესიასთან – პროსტიტუციასთან, – ასე დააკავშირა ეს ორი პროფესია უინსტონ ჩერჩილმა და, პრინციპში, არც შემცდარა. ამ ორ პროფესიას იმდენად აქვს ფესვები ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ხშირად ჭირს ერთმანეთისგან გარჩევა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე პოლიტიკურ გადაადგილებებს ეხება. მოდით ვნახოთ, თუ რა კავშირშია უშუალოდ ქართული პოლიტიკა და პროსტიტუცია, რამდენი საერთო თუ მსგავსებაა ამ ორ პროფესიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი პროფესია ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. რატომღაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ყოველთვის, ახალი ხელისუფლების კუნთების გავარჯიშება და პირველი აგრესია სწორედ ადგილობრივ პროსტიტუციის კერებისკენაა მიმართული.

ყველას კარგად ახსოვს ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გომის გზაზე არსებული ბორდელის, ე.წ. „ლოკანტების“ შტურმით აღება და შუაღამისას ტიტლიკანა სიძვის დიაცების წივილ-კივილის ხარჯზე გაკეთებული პირველი პიარი. დღემდე გაუგებარია, რას ემსახურებოდა მაშინ „ლოკანტებში“ სპეცრაზმის შევარდნა, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ბორდელი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ნამდვილად ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ბორდელის მეპატრონე და მეთვალყურე საპარლამენტო უმრავლესობის მანდატით იწონებს თავს. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება ეკონომიკური ვარდნის პროცენტების თვლით იყოს დაკავებული, ამ დროს, ყველაზე პრიორიტეტულად მეძავების დევნა გამოცხადდა.

წინა ხელისუფლების მსგავსად, მეოცნებეთა ხელისუფლებაც ბორდელების დაწიოკებით დაკავდა. იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი ამ უკანონობის აღსაკვეთად ხდება, ნამდვილად ვერ ვიტყვით, ეს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ნაცადი და სარფიანი ხერხია. სამწუხაროდ, როგორც წესი, სუტენიორების დაკავება ყოველთვის საპროცესო შეთანხმებით მთავრდება. ბოლო დროს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ უცხოელი სექსმუშაკები, ხოლო სასტუმრო-ბორდელის მფლობელები ძირითადად თურქები და ირანელები არიან, მათ არც ჩინელები ჩამოუვარდებიან, ბოლო ადგილს კი ადგილობრივი მეძავები იკავებენ, რომლებზეც მოთხოვნილება ბაზარზე უცხოური „პროდუქციის“ შემოსვლის შემდეგ საგრძნობლად დაეცა.

ბორდელების მნიშვნელოვანი რაოდენობაა აჭარაში. მაგალითად, ბოლო დღეებში აჭარაში ოჯახური ტიპის 20-მდე სასტუმრო დაიხურა, რომელთა მფლობელები პროსტიტუციისთვის ადგილის წარდგენაში არიან ეჭვმიტანილნი. ამის შესახებ ბათუმის ტელეკომპანია „ტვ-25“ იუწყება.

– გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში ხშირად უცხოელებიც ფიგურირებენ, გამოძიების პროცესი ხშირად ჭიანურდება – განაცხადა აჭარის პროკურორმა ვლადიმერ თურმანიძემ. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს პროკურატურასთან ერთად პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს. თურმანიძის თქმით, მიმდინარე წელს აჭარის პროკურატურამ გამოიძია და გახსნა ტრეფიკინგის ორი საქმე, ახლა კიდევ ერთი საქმის გამოძიება მიმდინარეობს. საოცნებო ხელისუფლებამ არც გონიოში არსებული სასტუმრო „ოცნება“ დაინდო, რომელიც გასულ წელს, ერთადერთი სასტუმრო აღმოჩნდა, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის მომდინარეობისას „ოცნების“ ხალხს ღამის გასათევი მისცა, ეს იმ დროს, როდესაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებზე მაშინდელი ხელისუფლება სასადილოებსა თუ მაღაზიებს პროდუქტის მიყიდვასაც კი უკრძალავდა. კარგად მახსოვს, მეტი სიფრთხილისთვის თუ შემთხვევით, სასტუმროს თავზე განთავსებულ წარწერაზე პირველი ასო „ო“ ჩაქრა და ღამით მხოლოდ „ცნება“ ანათებდა. თუმცა, ფაქტია, რომ სასტუმროს თურქმა მეპატრონემ აშკარად იმ დროს საკმაოდ დიდი რისკი გაწია. მაგრამ, კანონი კანონია, გონიოს სასტუმრო „ოცნება“ დღეს პროსტიტუციის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა.

ფაქტია, რომ პრობლემა არსებობს და მოსაგვარებელია, თუმცა რამდენად მიიყვანს ბოლომდე ხელისუფლება დაწყებულ საქმეს, ამის დაზუსტებით თქმა გაჭირდება, მით უმეტეს, რომ თბილისში დაკავებული და საპროცესოგაფორმებული სტუდენიორები ისევ აქტიურად აგრძელებენ მუშაობას.

„ვანო მერაბიშვილმა წონაში მკვეთრად დაიკლო“

ევროპარლამენტარები მისი პატიმრობის გამო კიდევ ერთხელ შეშფოთდნენ

შორენა მარსაგიშვილი

უკვე წლებია, გვიმტკიცებენ, რომ ევროპა და ამერიკა საქართველოში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით აკვირდება. ზოგი ნაციონალი იმასაც გვიმტკიცებს, რომ გამადიდებელი შუშით გვაკვირდებიან და ჩვენებურ დემოკრატიას სდარაჯობენ. ეტყობა გამადიდებელი შუშა არ უვარგათ, რადგანაც ამ ჩვენი საცოდავი დემოკრატიით დაინტერესებულებს ბევრი რამე გამოეპარათ.

ასეთი „იაღლიშები“ მათ ნაციონალების მმართველობის პერიოდში მოსდიოდათ. და ალბათ ვერ გაიხსენებთ ვერ ცერთ ფაქტს, როცა ისინი ხელისუფლების ქმედებას აპროტესტებდნენ. მაშინ ყველაფერში ოპოზიციას ადანაშაულებდნენ. ახლა კი ოპოზიციის ჩაგვრაზე მოსთქვამს მთელი ევროპა და აშშ-ს ნაწილი. დღე არ გავა, დასავლეთიდან ვინმემ რომ არ შეიცხადოს ნაციონალების დაწიოკების ამბავი. არადა, ალალად რომ ვთქვათ, დაწიოკებული ნაციონალი არავის უნახავს. ეგ კი არა, ისევ მაგათ მიჰყავთ ქვეყანაში „პარადი“.

ევროპა კი მაინც ღელავს. უფრო კონკრეტულად ცალკეული პირები ღელავენ. თორემ დანარჩენ ევროპას საქართველო საერთოდ არ ადარდებს. ცალკეული ევროპელები კი დაუღალავად შფოთავენ და ღელავენ. ამ ეტაპზე მათი შეშფოთების მიზეზი პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილია, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება და მატროსოვის ციხეშია გამოკეტილი.

ნაცმოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი გუშინ ევროპარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების ქვეკომიტეტის დელეგაციამ მოინახულა. ნაცმოძმა ამ ფაქტს უპრეცედენტოც კი უწოდა. პარტიაში იმედოვნებენ, რომ ევროპელთა შეშფოთების წყალობით შესაძლოა მერაბიშვილი გაათავისუფლონ.

– ნაციონალური მოძრაობა მადლობას უხდის ევროპარლამენტის დელეგაციას და ევროკომისარ ფულეს გამოჩენილი ყურადღებისათვის. ნაციონალური მოძრობა გამოთქვამს იმედს, რომ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მიერ მომავალი სპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და კონკურენტულად ჩატარების შესახებ აღებული ვალდებულება რეალურ შედეგს გამოიღებს. ამისათვის აუცილებელია შეწყდეს ამ და სხვა პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში წინასწარი პატიმრობის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება ხოლო ეჭვმიტანილების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება, რისი აუცილებლობაც, ევროპელი პარლამენტარების აზრით, არ არსებობს, – ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებები მერაბიშვილის მხახველებმაც გააკეთეს. ევროპარლამენტარმა, არნო დენჟანმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ იმის შესახებ, რომ ვანო მერაბიშვილი საკუთარი ოჯახის წევრების მონახულებას ვერ ახერხებს. დენჟანი ამის გამო ძალიან შეწუხებული და იმედგაცრუებულია.

– იმედგაცრუებულები ვართ, რომ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ეძლევათ ოჯახის წევრებს, რაც მისთვის ძალიან რთულია. არ აქვს კომუნიკაცია გარესამყაროსთან, თუ არ ჩავთვლით ევროპარლამენტარების ვიზიტებს. არ ვარ დარწმუნებული, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდეს საქართველოს კანონმდებლობასთან, რომ ოჯახის წევრებს მასთან შეხვედრის შესაძლებობა ჰქონდეს და სწორედ ამიტომ ვართ შეწუხებულები. წინასწარი დაკავება უნდა იყოს გამონაკლისი. არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს დაკავება იყოს გამართლებული. ვანო მერაბიშვილმა წონაში საგრძნობლად დაიკლო. ჩვენ გვქონდა საუბარი მისი მდგომარეობის შესახებ, ჩვენთვის ეჭვგარეშეა, რომ გამოძიება უნდა დასრულდეს, ჩვენ არ ვაყენებთ ამ საკითხს, მაგრამ შეწუხებულები ვართ იმ ფაქტის გამო, რომ წინასწარი დაკავება უნდა იყოს გამონაკლისი და მე ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს დაკავება იყო გამართლებული, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დენჟანმა.

მისივე თქმით, 17 ივლისს ვანო მერაბიშვილს ხუთი ევროპარლამენტარი შეხვდა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენს.

– ეს არ არის პოლიტიკური ვიზიტი, ჩვენ მოვინახულეთ ადამიანი, რომელიც ევროპარლამენტს ხშირად სტუმრობდა, – განაცხადა დენჟანმა.

დენჟანის მსგავსად იმედგაცრუებულია ჟიშტოფ ლისეკიც. ის მიიჩნევს, რომ მერაბიშვილი ციხეში პოლიტიკური მოტივებით ზის.

– მე კიდევ ერთხელ გამოვხატავ გაოცებას, თუ რატომ იმყოფება ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში. მერაბიშვილი საგამოძიებო უწყებაში რამდენჯერმე მივიდა. გამოძიების დაწყებიდან ხუთჯერ საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ხუთივეჯერ დაბრუნდა უკან. მე პირადად ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის თუ არა პოლიტიკურს. 6 კვირის წინ მე მერაბიშვილი მოვინახულე. მან წონაში საკმაოდ დაიკლო და ვფიქრობ, ის ექიმებმა უნდა შეამოწმონ. ოჯახთან დაკავშირებული საკითხი ამ დრომდე მოგვარებული არ არის და კარგი იქნება, თუ მიეცემათ შესძლებლობა, ვანო მერაბიშვილი მოინახულონ მეუღლემ და შვილებმა, ან მიიღოს მათგან წერილი, – განაცხადა ლისეკმა.

ლისეკის განცხადებას მოგვიანებით გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

– ვერ ვხედავ ვერანაირ სხვა მოტივს ბატონ ლისეკის განცხადების, გარდა პოლიტიკურისა, როდესაც ის ამბობს, რომ ვერ ხედავს ვერანაირ მიზეზს ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისა, გარდა პოლიტიკურისა. ეს, მე მგონი, უკვე საყოველთაოდ ცნობილი და მარტივად აღსაქმელი მოვლენაა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ადგილობრივი ორგანიზაციის მსგავსი სტრუქტურები აქვს, ისე როგორც სახალხო პარტიას „ნაციონალური მოძრაობის“ სახით საქართველოში ადგილობრივი ორგანიზაცია ჰყავს. ასე რომ, ერთი პარტიის წევრები, როდესაც ევროპულ სტანდარტებზე საუბრობენ, ცხადია, სწორედ აქაა პოლიტიკა და არანაირი სხვა მიზეზი არ არსებობს ასეთი კითხვებისა, გარდა მათი მხრიდან პოლიტიკური მიკერძოებისა, – განაცხადა უსუფაშვილმა.

საინტერესოა, სად იყვნენ ეს ევროპარლამენტარები 2012 წლამდე. რატომ არც ერთი დაკავებული მაღალჩინოსანი არ მოუნახულებიათ ციხეში. ნაციონალებს ბევრი ყოფილი მაღალჩინოსანი ჰყავდათ დაჭერილი, მათ შორის ყოფილი ნაციონალებიც.

ირაკლი ბათიაშვილის, კობა ნარჩემაშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, სულხან მოლაშვილის, დავით მირცხულავას, კობა კობალაძის და თამაზ თამაზაშვილის დაკავებაზე არც ერთ ევროპარლამენტარს არ ამოუღია ხმა.

სხვათა შორის, ევროპელებს არც პრემიერ ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებით გამოუთქვამთ რაიმე ეჭვები.

ვანოს მნახველი ევროპარლამენტის დელეგაცია მოგვიანებით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც შეხვდა. იმ შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ივანიშვილთან და ალასანიასთან დაგეგმილი შეხვედრა ჩაიშალა.

მიხეილ სააკაშვილის ინფორმაციით, ევროპარლამენტის დელეგაციის შეხვედრა პრემიერთან და თავდაცვის მინისტრთან გაუქმდა მას შემდეგ, რაც დელეგაციამ ციხეში ვანო მერაბიშვილი მოინახულა.

– სამწუხაროა, რომ წინასწარ დანიშნული შეხვედრები პრემიერ-მინისტრთან და თავდაცვის მინისტრთან გაუქმდა მას შემდეგ, ისინი დღეს დილით შეხვდნენ ვანო მერაბიშვილს ციხეში. მე მინდა, ვთქვა, რომ ეს ხალხი არ არის აქ ჩამოსული საშინაო პოლიტიკაზე სასაუბროდ. ესაა ევროპარლამენტის ძალიან მნიშვნელოვანი კომიტეტი, რომელიც ჩამოსულია ოკუპაციის შესასწავლად, საქართველოს დამოუკიდებლობასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. ეს არის მრავალპარტიული დელეგაცია, წარმოადგენს ევროპარლამენტის სხვადასხვა ფრაქციებს და მათთან საუბარი პოლიტიკური გემოვნების საკითხი კი არ არის, ეს არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რაღაცა, თუ შენ გინდა, რომ საქართველოსთვის კარგი გააკეთო. ამიტომ მე, ერთი მხრივ, მიხარია და მომწონს, რომ პრემიერ-მინისტრმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, რომ წასულიყო პოლონეთში ვიზიტით. ეს არის ის ვიზიტი, რომელზეც მე პოლონელებს ვესაუბრე რამდენიმე თვის წინ და მას ჰქონდა რამდენიმე თვეა მოწვევა და დადებითი მოვლენაა, რომ როგორც იქნა, პოლონეთში წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ასევე მოვუწოდებდი მას, რომ ყოველთვის ესაუბროს ასეთ დელეგაციას, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თავისი წუხილი ჟურნალისტებს არნო დენჟანმაც გაუზიარა. მისი განცხადებით, დელეგაცია საქართველოში მონიტორინგის მისიის ფარგლებში იმყოფება და სამწუხაროა, რომ პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს ვერ ხვდება.

– ჩვენ საქართველოში მონიტორინგის მისიის ფარგლებში ვიმყოფებით. ჩვენ ვიმყოფებოდით გორში. ძალიან საინტერესო იყო ჩვენთვის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული მდგომარეობის გაცნობა, რაც ძალიან შემაშფოთებელია. ჩვენ განვიხილეთ პრეზიდენტთან მონიტორინგის მისიის საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა, ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ ვხვდებით პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისიც იგივე საქმეს ემსახურება, რასაც ჩვენ. ჩვენ შევხვდებით შინაგან საქმეთა მინისტრს. დაახლოებით 4 000 პერსონალია ჩართული ამ მისიაში, ვფიქრობ, ჩვენს ამ საქმიანობას კარგად აცნობიერებს ქართველი ხალხი. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყველა მხარის მონაწილეობა და ვფიქრობ, სამწუხაროა, რომ ეს ვერ მოხერხდება, – განაცხადა დენჟანმა.

უწყებათაშორისი კომისია უშიშროების საბჭოს ნაცვლად იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარება

შორენა მარსაგიშვილი

უწყებათაშორისი კომისია უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში გადადის. ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივა „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა. პარლამენტის მიერ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ, უწყება, კონკრეტულად არჩევნების პერიოდში გამოვლენილი დარღვევების შესახებ მოახდენს რეაგირებას, მისი თავმჯდომარე კი სავარაუდოდ, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იქნება.

– როგორც იცით, საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების მიზნით, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნაწილში აქამდე უწყებათაშორისი კომისია არსებობდა, რომელიც უშიშროების საბჭოსთან ფუნქციონირებდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უშიშროების საბჭოს არაფერი ესაქმება წინასაარჩევნო კამპანიასთან და ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობა არ არის. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები ითხოვდნენ, რომ ეს ფუნქცია გადასულიყო მთავრობის დაქვემდებარებაში, კერძოდ კი პრემიერ-მინისტრთან. თუმცა პრემიერმა თავისი პოზიცია დააფიქსირა და განმარტა, რომ ამ პროცესში ჩარევა მისი მხრიდან სწორი არ იქნება. შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იქნება ის რგოლი, რომელიც კანონის მიღების შემთხვევაში უწყებათაშორის კომისიას უხელმძღვანელებს. ნორმალურ ქვეყანაში ასეთ კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უნდა ხელმძღვანელობდეს, რაც საქართველოში არ ხდება, – განაცხადა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით პარლამენტი უწყებათაშორისი კომისიის შესახებ, უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივას შეისწავლის და გადაწყვეტილებას მიიღებს.

– არჩევნების დროს კანონმდებლობის დაცვა და მისი ერთგვაროვნად შესრულება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამოცანაა. თუმცა ძველ დროში იყო განცდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ამას ვერ ან არ აკეთებდა. ამიტომ შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია ისეთი პირთა ჯგუფით, რომელსაც მყისიერი, გავლენიანი მოქმედების საშუალება ჰქონდა. შესაბამისად უშიშროების საბჭოს მდივანს შარშანდელი მდგომარეობით ნებისმიერი პრობლემის ოპერატიულად მოგვარება შეეძლო. სადღეისოდ კი, ამ არჩევნებისთვის ჩვენ ისეთ თანამდებობის პირთა თავმოყრა გვჭირდება, რომელსაც იგივე შეეძლება. ასე რომ, შევისწავლით და მივიღებთ გადაწყვეტილებას, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საპარლამენტო ინტერფრაქციული ჯგუფი პარლამენტს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივითაც მიმართავს,

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელის, ზაქარია ქუცნაშვილის აზრით, ამ ცვლილებებმა საარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენციას უნდა შეუწყოს ხელი.

– წესდება მთელი რიგი საწინააღმდეგო სიახლეები, რაც ხელს შეუწყობს თანასწორი, კონკურენტული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რომ ადმინისტრაციული რესურსი იმ მავნე ტრადიციიდან გამომდინარე, რაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში, როცა ყველა ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს თავისი კანდიდატის მხარდასაჭერად იყენებს, ამჯერად არ იყოს გამოყენებული და საზოგადოება მართლაც დარწმუნდეს იმაში, რომ საპრეზიდენტო არჩევნები იქნება პირველი გამონაკლისი შემთხვევა თავისუფალი არჩევნების, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

დეპუტატის განმარტებით, ძალაში შედის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები, რომ მათი მხრიდან, რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ კანონის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს სამართლებრივი რეაგირება.

უკვე ინიცირებული ცვლილებების მიხედვით კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იკრძალება აგიტაციის წარმოება 20 მეტრის რადიუსში.

– ამ თემაზე მთელი ამბავი იყო ატეხილი. მინდა მოგახსენოთ, რომ ამ ცვლილებების მიღება ემსახურება იმ მიზანს, რომ საარჩევნო უბნის კიბეებთან აღარ ვიხილოთ ამომრჩეველთა სიებით ხელში შეიარაღებული აგიტატორები და მეორე მხრივ, ამომრჩეველს აღარ მოუწიოს გავლა ე.წ. სააგიტაციო კორიდორში, სანამ კენჭისყრის უბანში შევა. შესაბამისად, ის, რომ 20 მეტრის რადიუსში აღარ იქნება აგიტაცია ნებადართული, ეს ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეებს მიეცემათ ნებისმიერი მიმართულებიდან საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შესვლის საშუალება, ხოლო ქალბატონები იქნებიან თუ ვაჟბატონები, მათ აღარ ექნებათ უფლება კიბეებთან ჩამომწკრივებული იყვნენ და სიებით შეიარაღებულებმა მოახდინონ ზემოქმედება ამომრჩეველზე, – თქვა ქუცნაშვილმა.

საარჩევნო კოდექსში ინიცირებულია კიდევ ერთი ცვლილება, რომლის მიხედვითაც წინასაარჩევნო აგიტაციის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება სამუშაო საათებში საჯარო მოხელეებს აღარ ექნებათ.

– დღეს მოქმედი კოდექსით საჯარო მოხელეებს არ აქვთ აგიტაციის გაწევის უფლება მხოლოდ სამსახურებრივი ფუნქციის შესრულების დროს. ეს რედაქცია, რომ აგიტაციის უფლება მხოლოდ სამსახურებრივი ფუნქციის შესრულების დროს არის აკრძალული, იძლეოდა ძალიან კარგ საშუალებას, რომ მისულიყო ჩინოვნიკი და ეთქვა: მე ამ ღონისძიებაზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ მოვსულვარ, მე მოვედი, რათა მეგობარს დავუჭირო მხარი. აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოგვაქვს შეზღუდვა, რომ საჯარო მოხელეებს არა მარტო სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას არ ექნებათ აგიტაციის წარმოების უფლება, არამედ მთელი სამუშაო საათების განმავლობაში: დილის 09:00 საათიდან 19:00 საათამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ მას აღარ ექნება დემაგოგიის წარმოების უფლება, რომ მე არა სამსახურებრივი ფუნქციის შესრულებისას მოვედი აქ, არამედ მოვედი მხარდასაჭერად. თუ მას მხარდაჭერის სურვილი ამოძრავებს, კეთილი ინებოს და ან გადადგეს თანამდებობიდან, ან დროებით დატოვოს შვებულებაში გასვლით და ისე, კი ბატონო, გაწიოს მხარდასაჭერი კამპანია. ინიცირებული კანონპროექტით, შემოდის აგიტაციის მიზნით შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობის ახალი მექანიზმი. გახსოვთ, რა ბრძოლა გვიწევდა თითოეულ ჩვენ ოპოზიციურ პარტიას იმისათვის, რომ ამა თუ იმ შენობა-ნაგებობაში შესვლის უფლება მოგვეპოვებინა ამომრჩეველთან შეხვედრის მიზნით. იქ იყო მთელი ომი, თუ მოგვცემდნენ რომელიმე შენობა-ნაგებობას, საკითხავი იყო, რა დროს გვაძლევდნენ და რა ღირებულებით. შემოდის ახალი მექანიზმი, რომელიც საოლქო საარჩევნო კომისიას ავალდებულებს, რომ მოთხოვნიდან 24 საათში პასუხი გასცეს მომთხოვნ პირს შენობა-ნაგებობაში შესვლის თაობაზე, ხოლო თუ 24 საათში არ გასცემს დასაბუთებულ პასუხს, ამ შემთხვევაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება თანხმობად და პარტიას წარმოეშვება უფლება, რომ შევიდეს და ჩაატაროს წინასაარჩევნო შეხვედრა, – აღნიშნავს დეპუტატი.

წინა საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო მანქანებით გადაადგილების უფლება მხოლოდ იმ პოლიტიკური მაღალი თანამდებობის პირებს ექნებათ, რომელთაც სახელმწიფო იცავს.

ბოლო ცვლილება, რომელიც საარჩევნო კოდექსშია ინიცირებული, არის ახალი 99-ე მუხლის დამატება, რომლის მიხედვითაც დგინდება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ შემდეგი თანამდებობის პირები: პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მათი მოადგილეები, უშიშროების საბჭოს წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები, საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი და ქალაქის მერი, მოსამართლეები, პრეზიდენტის მრჩევლები, პროკურორები, სახალხო დამცველი და ა. შ.

ქუცნაშვილის განმარტებით, ცვლილებების დიდი ნაწილის ავტორი არასამთავრობო სექტორია. დეპუტატი იმედოვნებს, რომ ამ ცვლილებებს პარლამენტი მხარს დაუჭერს.

– ჩვენ შემოგვაქვს ახალი კულტურა საქართველოს არჩევნების ისტორიაში, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ალბათობას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პარლამენტი ამ ცვლილებებს მხარს დაუჭერს, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

დავით სერგეენკო: „ჭიათურის მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება“

მერი ნამორაძე

რას უწუნებს მოსახლეობა საყოველთაო ჯანდაცვის გაფართოებულ პროგრამას? როგორც აღმოჩნდა, მოქალაქეთა მოლოდინი გეგმიურ სამედიცინო დახმარების ვადებთან დაკავშირებით გაცილებით დიდი იყო, ანუ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ განაცხადის გაკეთებისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღებდნენ გეგმიურ დახმარებას. რადგან მსგავსს მსოფლიო პრაქტიკა არ იცნობს, საქართველოც არ აღმოჩნდა გამონაკლისი. ლოდინი გეგმიური სამედიცინო დახმარების მიმართ, მაქსიმუმ 2 თვეს შეიძლება გაგრძელდეს. ამის შესახებ განმარტება გუშინ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა.

გაცილებით ადრე რომ ჩაეყენებინა მოქალაქეები საქმის კურსში სამინისტროს, პრეტენზიებსაც ნაკლებად მიიღებდა ამ კუთხით, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. მინისტრმა ჯანდაცვის ინდუსტრიაში გეგმიური სერვისების მიწოდების მსოფლიო პრაქტიკა მიმოიხილა და აღნიშნა, რომ საქართველოში, იმ სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, დაცდის პერიოდი 4-დან 6 თვემდე პერიოდს მოიცავდა. საერთაშორისო გამოცდილებით საუკეთესო სკანდინავიური მოდელით არის 3 თვემდე. საყოველთაო ჯანდაცვის პროექტში კი დაცდის პერიოდი 2 თვემდეა. მაინც როგორ ხდება ამ პერიოდის მართვა?

– პაციენტის კითხვა ლეგიტიმურია, თუ რატომ უნდა დაიცადოს მან თუნდაც რამდენიმე დღე. უამრავი კითხვა მოდიოდა, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებდა საერთოდ პროექტის წარმატებულობას – „თუ არ შეგეძლოთ, რატომ იწყებდით“ , „3 რიცხვში შემოვიტანე, დღეს უკვე 10 რიცხვია, რეაგირება არ არის და ეს რას ჰგავს“, – ასეთი ნეგატივი მოდიოდა. მე არ მინდა გაკიცხვა დავიწყო პაციენტის. ამიტომ მინდა ავხსნა, რას ნიშნავს მოცდის პერიოდი. გადაუდებელი მდგომარეობები დაუყოვნებლივ ექვემდებარება ჩვენ მიერ დაფინანსებას და დაუყოვნებლივ ღებულობენ სამედიცინო სერვისებს. შეგახსენებთ, რომ გადაუდებელი მდგომარეობა, საერთაშორისო კლასიფიკაციით, არის ჯანმრთელობის ისეთი მდგომარეობა, როდესაც დროული სამედიცინო ჩარევის გარეშე უახლოესი საათების განმავლობაში პაციენტმა შეიძლება დაკარგოს სიცოცხლე, ორგანო ან კიდური. რაც შეეხება გეგმიურ მდგომარეობებს, იმდენად მნიშვნელოვანია პაციენტთან ურთიერთობა, რომ ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში, შექმნილია სპეციალური სამსახურები, რომლებიც დაკავებულები არიან სწორედ ასეთ პაციენტებთან ურთიერთობით, რათა მათ აუხსნან, რომ დაცდის პერიოდი მათ ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის და სწორად გააანალიზონ ყველაფერი. ანუ ეს არ არის პროექტის წარუმატებლობის ინდიკატორი, პირიქით, 3-4-6 თვიანი ლოდინის პრეცედენტები და 2 თვე ჩვენს შემთხვევაში. განსხვავებული, რაც ჩვენ არ გაგვიკეთებია, არ შეგვიქმნია სპეციალური ფსიქო-თერაპიული სამსახური, როგორიც გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებშია, რომელიც მარტო ამ საქმით არის დაკავებული – რიგში მდგომი პაციენტების ახსნა-განმარტებით. ეს ფუნქცია ჩვენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს შევუთავსეთ, გავინაწილეთ მინისტრმა, მოადგილეებმა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ვცდილობთ, პაციენტებს დაწვრილებით ავუხსნათ ეს ყველაფერი, – აღნიშნა სერგეენკომ.

ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტი და სოციალური მომსახურების სააგენტოს ზარალების მართვის დეპარტამენტი განსაზღვრავენ თუ რომელი გეგმიური ოპერაციაა გაცილებით პრიორიტეტული. პირველი ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია უკვე 407 მშობიარობა. ქიმიოთერაპიის, სხივური თერაპიის მოთხოვნით შესულია 257 განაცხადი და აქედან 127 უკვე დაკმაყოფილებულია. ამ ეტაპზე სამინისტრო არ მიიჩნევს საჭიროდ რაიმე ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიოს მომლოდინე პაციენტებს, რადგან პროცესი დაწყებულია და არავინ ელოდება მაინცდამაინც 2 თვის გასვლას.

საყოველთაო ჯანდაცვის 28 თებერვლის პროექტი ხორციელდებოდა პოზიტიური სიით, ანუ გაწერილი იყო 453 მდგომარეობა, რომელიც ექვემდებარებოდა დაფინანსებას. 1 ივლისის გაფართოებული პროექტი არის უკვე ნეგატიური სიით, რომლითაც ფინანსდება ყველაფერი, გარდა იმ მდგომარეობებისა, რომელიც ნეგატიურ სიაშია მითითებული. ასეთთა შორისაა ესთეტიკური ქირურგია, თვითმკურნალობა, საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო ხარჯები და ასე შემდეგ. მინისტრი გამორიცხავს სამედიცინო დაწესებულებების მიერ ორმაგ ინტერპრეტაციას და პაციენტთა დახმარებაზე თავის არიდებას. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად მინისტრი მოქალაქეებს ცხელი ხაზის, მედიაციის სამსახურის, დეპარტამენტის ხელმძღვანელების დახმარებას სთავაზობს საკუთარ თავის (მოადგილეებიანად) ჩათვლით, რომლებიც თითოეულ შემთხვევას ბოლომდე მიჰყვებიან.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც ქვეყანა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემაზე გადავიდა, გადაუდებელი მდგომარეობების მართვა მიიღო 40 ათასამდე მოქალაქემ. რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიღებას, ამ პროექტში მილიონ სამასი ათასი ადამიანი იქნა ჩართული.

მინისტრმა კომენტარი ჭიათურელ ექიმებთან დაკავშირებითაც გააკეთა, რომლებსაც 4 თვეა არ მიუღიათ ხელფასი და საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავენ, პაციენტებს კი პრობლემები ექმნებათ საწოლების შემცირების გამოც. მინისტრის თქმით, პროტესტის გამოხატვა ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, ოღონდ სამედიცინო პერსონალის შემთხვევაში ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი – არ უნდა შეწყდეს გადაუდებელი მდგომარეობების მართვა. სხვა შემთხვევაში პროტესტი კანონდარღვევად ჩაეთვლებათ თეთრხალათიანებს. მინისტრი მიიჩნევს, რომ კითხვები სადაზღვევო ინდუსტრიასთანაც უნდა დავსვათ, რომელთაგან სამინისტროს მისამართით მხოლოდ გაუთავებელი პრეტენზიები ისმის, რომ მათ ახრჩობენ და „ძირავენ“.

– ვარწმუნებ ჭიათურის მოსახლეობას, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნება, რადგან 15 კილომეტრში დგას უმძლავრესი ინფრასტრუქტურის სამედიცინო დაწესებულება საჩხერეში, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი მასშტაბის დარტყმა თუ ნაკადი მიიღოს. კერძო სადაზღვევო კომპანიებთან კი თანამშრომლობა უკვე დაწყებულია. ჩვენ შევდივართ ფინალურ ფაზაში, რომლის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 2 თვე იქნება. ეს ფაზა მოიცავს თითოეული კომპანიის (მათი სურვილის შემთხვევაში) ინდივიდუალურ შესწავლას და მათი ფინანსური პრობლემების არსებობის შემთხვევაში გარკვეულ მხარდაჭერას სახელმწიფოსგან რესტრუქტურიზაციის სახით. რაც შეეხება სახელფასო პოლიტიკას, ერთი მხრივ, გული მტკივა, როცა ვისმენ ჩემი კოლეგებისგან „ეს ის ჯანდაცვის მინისტრია, ექიმებს ხელფასებს რომ ვერ ურიგებს“, სამწუხაროდ, არ ურიგებს ჯანდაცვის მინისტრი ექიმებს ხელფასებს. ამაში ჩვენ ვერ ჩავერევით, ჩვენ უნდა შევცვალოთ და ვცვლით ზოგადად პოლიტიკას, რომელიც ექიმს გახდის დაცულს. უბრალოდ, მოკლებული ვარ მე ლეგალურ თუ არალეგალურ შესაძლებლობებს, რომ დავურეკო ან შევხვდე კომპანიის დირექტორს და ვუთხრა – რატომ მიეცი 150 ლარი, მიეცი 1500 ლარი! – განმარტა სერგეენკომ.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, სადაზღვევო კომპანიები რამდენად გამოთქვამენ სურვილს მიიღონ ჯანდაცვის სამინისტროს დახმარება და ატარებს თუ არა საბოტაჟის ნიშნებს მათი დამოკიდებულება საქმისადმი. მინისტრმა საბოტაჟი ვერ უწოდა მათ დამოკიდებულებას, რადგან სამართლებრივი გზით უნდა დადასტურდეს ეს ან გამოირიცხოს. თანამშრომლობის სურვილი კი აქტიური და ორმხრივია:

– მათ აქვთ ლეგიტიმური სურვილი, იცოდნენ, რა ელით მომავალი წლების განმავლობაში. თუმცა ამას ითხოვენ დეტალებში, სურთ, რომ რისკების გათვლა იყოს ნული, ყველა რისკი გავთვალოთ ჩვენ და ამის შესახებ ვაცნობოთ წინასწარ. ეს წარმოუდგენელია. რაც შეეხება მათთან ურთიერთობას, 2 წლის წინ აღებულმა უმძიმესმა ინფრასტრუქტურულმა ვალდებულებებმა, რომელიც დაეკისრათ მთავრობის დადგენილებით, ისინი უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა. თუ დაკვირვებით შეხედავთ განვითარებულ მოვლენებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროექტი ანუ სახელმწიფოებრივი ადმინისტრირების პროექტი იოტისოდენადაც არ შეხებია მათი აქტივობის ველს. ჩვენი აქტივობებით მათ საფრთხე არ შექმნიათ. პირიქით, ჩვენ რომ არ ჩავერიოთ ამაში, რამდენიმე კომპანია მაღალი ალბათობით გაკოტრდება. ჩვენ ახლა ორ ცეცხლს შუა ვართ – პასუხი უნდა გავცეთ პაციენტს, სამედიცინო პერსონალს, რომლებიც არ მიდიან სადაზღვევო კომპანიაში და იქ არ მართავენ დემონსტრაციას, ჩვენთან მოდიან პასუხის მისაღებად. ერთი მხრივ, მათ უნდა გავცეთ პასუხი, მეორე მხრივ, ჩვენი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს უნდა გავცეთ, თუკი ჩვენ კერძო ბიზნესს რაიმე საფრთხეს შევუქმნით, ამას დომინოს პრინციპი აქვს. ვესაუბრებით ერთ სადაზღვევოს, ისმენს საერთოდ სხვა ბიზნესი – მაგალითად, ტკბილი წყლების წარმოების ჩრდილოეთ კავკასიაში და იწყება კასკადი. ასე რომ, ეს არის სამართებლის პირზე სიარული, რომელიც დღემდე დიდი წარმატებით შევძელით და იმედი მაქვს, რომ ეს ასევე გაგრძელდება, – განაცხადა მინისტრმა.

გუშინ მედია დაინტერესდა ონკოლოგიური დაავადებების დაფინანსებით. მინისტრმა განმარტა, რომ 18 წლამდე ონკოლოგიურ დაავადებათა მართვა დაფინანსდება 100 პროცენტით, 18 წლიდან ზევით კი სახელმწიფო აფინანსებს 80%-ს, პაციენტი 20%-ს გადაიხდის.

– ასეთ რეპლიკებს ვისმენ, ვისაც ეს 20%-იც არ აქვს, რა ქნას, მოკვდეს? ძალიან გთხოვთ, მოვლენების განვითარებას დინამიკაში შევხედოთ. 2013 წლის 28 თებერვლამდე საქართველოს მოსახლეობის ნახევარს გადაუდებელი საჭიროების დადგომისას 100% უნდა გადაეხადა თავისი ჯიბიდან, ისევე, როგორც ონკოლოგიურ პაციენტებს. პირველი ივლისიდან 2 მილიონ ადამიანს საშუალება მიეცა გადაიხადოს მხოლოდ 20%. რიცხვები მეტყველებენ, რომ ძალიან დიდი პოზიტიური გარღვევაა სისტემაში. ყველაფერს სჭირდება დრო და ფინანსური უზრუნველყოფა. ასეთი ნახტომი საქმეში, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია. თუმცა, უხერხულია, რომ ჩვენ მიერ გაკეთებულ საქმეზე ასე ვილაპარაკოთ, – აღნიშნა სერგეენკომ.

„ახალი თაობა“ შრომის ბაზრის კვლევით დაინტერესდა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ პროექტის შედგენას დიდი საერთაშორისო ექსპერტიზა დასჭირდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხრიდან. პროექტი უკვე მოწონებულია და მინისტრი ვარაუდობს, რომ უახლოეს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდება. პირველი აგვისტოდან კი ცენტრალური და რეგიონალური ოფისები გაიხსნება, სადაც სპეციალურად მომზადებული კადრები დაიწყებენ ბაზრის კვლევას. განსხვავება იქნება ის, რომ შარშან მხოლოდ ბაზრის მინოდების კვლევა ხდებოდა – ანუ რამდენი ადამიანი იყო უმუშევარი. ახალი პროექტი მოიცავს მიწოდების და მოთხოვნის კვლევასაც, ანუ სად არის მოთხოვნა კადრებზე, მაგრამ არ არის კადრები, ამის ანალიზი, რეკომენდაციები და მოქალაქეთათვის შესაბამისი გადამზადების მიწოდება გახდება შესაძლებელი, რაზეც უკვე განათლების სამინისტრო იმუშავებს.

ნინო ბურჯანაძე; „ჩვენ უნიათო საგარეო პოლიტიკური კურსი გვაქვს“

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დღევანდელ ხელისუფლებას არ აქვს გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკური კურსი და მისი საგარეო პოლიტიკა უნიათოა.

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ ექსპერტთა კლუბის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„დღევანდელი ხელისუფლებისგან ვერ დავინახეთ საგარეო პოლიტიკაში ისეთი ნაბიჯები, რაც ქვეყნის სუბიექტად ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო. ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე ვართ და ბოლო წლების მოქმედებებმა გაგვხადა ობიექტები, რომლებსაც საჩუქრად გადაუგდებენ ხოლმე სიტყვას, რომ ნატოს წევრები გახდებიან; რომლესაც ეხმარებიან ფინანსურად და რომელიც ეცოდებათ. მხოლოდ განცხადებები ხელისუფლების მხრიდან – ჩვენ გავხდებით ნატოს წევრები ან გვსურს ნატოს წევრობა, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი იყოს გამოკვეთილი. ჩვენ უნიათო საგარეო პოლიტიკური კურსი გვაქვს“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ჩვენი ხელისუფლების მშვიდად ყოფნამ ე.წ. საზღვრებთან მავთულხლართების გაბმა და ლამის ბერლინის კედლის მშენებლობა განაპირობა.

„დიცში როდესაც ე.წ საზღვრებს სწევენ და ხელისუფლება ამბობს, რომ მშვიდად უნდა ვიყოთ, მე ამას მშვიდად ვერ მივიღებ. არანაირი ადეკვატური რეაგირება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. ისინი მხოლოდ ამბობენ, რომ შეშფოთებულები არიან და გაოცებულები. მშვიდად ყოფნა განაპირობებს სწორედ რომ დიცთან მავთულხლართების გაბმასა და ლამის ბერლინის კედლის მშენებლობას“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მედიანიუსი

საკრებულოს ახალი უმრავლესობა რიგგარეშე სხდომის დანიშვნას 19 ივლისს აპირებს

თბილისის საკრებულოს ახალმა უმრავლესობამ შესაძლოა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 19 ივლისს გამართოს. ასე გამოეხმაურა ჟურნალისტებთან საუბრისას საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე დავით ჯინჭარაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მამუკა ახვლედიანის განცხადებას, რომლის თანახმადაც, საკრებულოს თავმჯდომარე რიგგარეშე სხდომის 24 ივლისს დანიშვნის ინიციატივით გამოდის.

ჯინჭარაძის თქმით, 11 ივლისს მათ გააკეთეს განაცხადი რიგგარეშე სხდომის 18 ივლისს გამართვის აუცილებლობის შესახებ, რომელზეც უნდა შეიცვალოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ასევე ყველა კომისიის თავმჯდომარე.

,,დღეს ბატონ ზაალს ახალი წერილით მივმართავთ. რეგლამენტის მიხედვით, განაცხადის შეტანიდან ერთ კვირაში საკრებულოს თავმჯდომარემ უნდა მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა, ეს რიცხვი კი 18 ივლისია. თუ საკრებულოს თავმჯდომარე ხვალ არ მოიწვევს სხდომას, მაშინ საკრებულოს ახალი უმრავლესობა შეატყობინებს 19 ივლისს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ საკრებულოს თავმჯდომარეს და აპარატს. საკრებულოს 24 დეპუტატს უფლება აქვს, მოიწვიონ რიგგარეშე სხდომა“, -აცხადებს ჯინჭარაძე.

მედიანიუსი

პრეზიდენტობის კანდიდატთა რაოდენობა თორმეტამდე გაიზარდა

საქართველოს პრეზიდენტობის ოფიციალურ მსურველთა რაოდენობა, ამ დროისთვის უკვე თორმეტამდე გაიზარდა.

გუშინ, პრეზიდენტობის კანდიდატთა რიცხვს, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი გიორგი ლილუაშვილი დაემატა.

2013 წლის 27 ოქტომბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ცესკოს საიტზე ოფიციალური რეგისტრაცია უკვე გაიარეს პრეზიდენტობის შემდეგმა კანდიდატებმა – მიხეილ გელასალუაშვილმა (საინიციატივო ჯგუფი), ტარიელ ხვედელიძემ (საინიციატივო ჯგუფი), ნესტან კირთაძემ (საინიციატივო ჯგუფი), გიორგი გახოკიამ (საინიციატივო ჯგუფი), შალვა ნათელაშვილმა (საქართველოს ლეიბორისტული პარტია), მამუკა ჭოხონელიძემ (საინიციატივო ჯგუფი), ნიკოლოზ გორგიჯანიძემ (საინიციატივო ჯგუფი), გიორგი თარგამაძემ („ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“), სეგო ჯავახაძემ („სამართლიანი საქართველოსთვის“), გიორგი ჩიხლაძემ (საინიციატივო ჯგუფი), მერაბ გორგაძემ (საინიციატივო ჯგუფი) და გიორგი ლილუაშვილმა (საინიციატივო ჯგუფი).

პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს, მათ შორის არც მმართველი პარტიიდან, ოფიციალური რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლიათ.

ნიუსპრესი

შინაგან საქმეთა მინისტრი ევროპარლამენტის დელეგაციას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავდაცვისა და უშიშროების ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებს არნო დანჟანს (თავმჯდომარე, ევროპელ ხალხთა პარტია – საფრანგეთი), კუიშტოფ ლისეკს (ევროპის სახალხო პარტია – პოლონეთი), ანა გომესს (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი – პორტუგალია), ტერესა რიერა მადურელს (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი – ესპანეთი) და პაველ კოვალს (ევროპის კონსერვატორები და რეფორმისტები – პოლონეთი) შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ფილიპ დიმიტროვი.

მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და შს სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები განიხილეს. საუბარი შეეხო ასევე ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებსაც.

ნიუსპრესი

გელა კვაჭანტირაძე: „წამების სისტემა ნაციონალებმა შექმნეს“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

—სოციოლოგიური კვლევები ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარდა, რამაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან მარგველაშვილს 29% აქვს, 26% ის გამოკითხულები არიან, ვისაც ჯერ პასუხი არ აქვს, ვის მისცემენ ხმას, 10% ნაცმოძრაობას. არის გაურკვევლობა იმიტომ, რომ დავით ბაქრაძეს აქვს მოწონება 46%-ის, ხოლო მარგველაშვილს 45%, ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ეჭვები. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ კვლევებს?

— თავად ამ კვლევების სანდოობის შესახებ მინდა გითხრათ, ობიექტური ფაქტორებიდან იმას გამოვყოფდი, რომ როცა საზოგადოება ასეთ გარდამავალ პერიოდშია და არასტაბილური მდგომარეობაა, ამ შემთხვევაში კვლევის დროს მეთოდოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ იქნება დასმული კითხვა. ეს ჩვენ არაერთხელ ვნახეთ. 1 ოქტომბრამდე ვნახეთ, როგორი კვლევები ჰქონდა ენდიაის და არჩევნების შემდეგ შედეგები აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. სუბიექტური ფაქტორებიც არის, არის ეჭვი და უნდობლობა ამ კონკრეტული კვლევების მიმართ. გარკვეული სიმპათიები სავარაუდოდ აქვს ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ზოგადი ანალიზით შეიძლება ასეთი ეჭვი გამოვთქვა. არა მგონია, ამ კვლევების შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ტოტალური ანტიპათიაა საზოგადოებაში ნაცმოძრაობის მიმართ, ასეთი შედეგები საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ არარეალური მგონია.

—ეს 26%, რომელიც ჯერ არ არის დარწმუნებული, ვის მისცემს ხმას, ისევ არსებობს, 1 ოქტომბრამდე იყო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არ ამბობდა, ვის აძლევდა ხმას, მაშინ ეს აიხსნა საზოგადოებაში გამეფებული შიშით ხელისუფლების მიმართ, მაგრამ დღეს ეს შიში დაძლეულია და ეს პროცენტები ისევ არსებობს. ამას რით ხსნით?

— გეთანხმებით, რომ მაშინ იყო შიშის ფაქტორი, როცა ადამიანებს ეშინოდათ თავისუფლად საკუთარი სიმპათიის და ანტიპათიის გამოხატვისა პოლიტიკური ძალების მიმართ. ამ არჩევნების შემდეგ საზოგადოების ნაწილი ისევ გაურკვეველ მდგომარეობაშია, რაიმე შინაგანი გადაწყვეტილება არ მიუღია. არა მგონია, მაინც რომ ამხელა პროცენტი იყოს. თუ მაინც გავაანალიზებთ ამ პროცენტს, არის ჯერ კიდევ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა, ქვეყნის გარეთაც და ქვეყნის შიგნითაც ეს პროცესი მკაფიოდ აღიქმება, ყოველდღიურად ვისმენთ წინააღმდეგობრივ განცხადებებს პრეზიდენტის და მისი თანაგუნდელების მხრიდან, საზოგადოების ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს იმის განცდა, რომ მოვიდა ახალი ხელისუფლება და აკეთებს საქმეს. მომავალი წლის გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნები იქნება ამ ბრძოლის გაგრძელება. ვიდრე ხელისუფლების მთლიანად გადაცემა არ მომხდარა, ეს წარმოშობს ორხელისუფლებიანობას, ძველი და ახალი ხელისუფლება მძაფრად არის ერთმანეთთან დაპირისპირებული, გაურკვევლობის განცდა ამიტომაც არის.

— 10% აქვს ნაცმოძრაობას, 5% — ბურჯანაძეს, 4% — გიორგი თარგამაძეს, სალომე ზურაბიშვილსა და შალვა ნათელაშვილს — 3-3%. ამას რით ხსნით?

— გამიჭირდება კომენტარი პროცენტების რაოდენობაზე, მაგრამ თანაფარდობასა და მიმართულებაზე უნდა ვთქვათ, რომ მარგველაშვილს რამდენჯერმე მაღალი რეიტინგი აქვს, დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ მთავარი ბრძოლა მიდის იმაზე, ვინ გავა მეორე ადგილზე, მნიშვნელოვანია, ვინ დაფიქსირდება მთავარ ოპოზიციურ ძალად. ნაცმოძრაობა ცდილობს, დაფიქსირდეს, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა, ქვეყნის შიგნით და გარეთ ის ამის დაფიქსირებას ცდილობს. მნიშვნელოვანია, იქნება თუ არა ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტური. მეორე ტური რომც იყოს, მაინც ოცნების კანდიდატი გაიმარჯვებს, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი საშუალება ძალის დემონსტრირების, რომ აი, მეორე ტური დასჭირდათ და ძალას და გავლენას ისევ ერ ფლობს ოცნება, როგორც ნაცმოძრაობა. პროცენტები ძალიან არასტაბილურია და ნდობა ასეთ ვითარებაში ძალიან ჭირს. თუ გამოვა მეორე ტური და მეორე ადგილზე გასვლის სცენარი ნაცმოძრაობის მხრიდან, ისინი ჩათვლიან, რომ ამ ეტაპზე თავიანთ მიზანს მიაღწიეს. შეიძლება 50%-ზე მეტი მხარდაჭერა მარგველაშვილს ობიექტურად მართლაც არა აქვს, მაგრამ უნდა იმუშაოს, რომ მეორე ტური მართლაც არ იყოს საჭირო.

— ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან ამ კვლევებით დაეცა ოცნების რეიტინგი, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ დაპირებების შესრულება ვერ მოახერხა. ეთანხმებით მას ამ შეფასებაში?

— ზურაბ ჭიაბერაშვილის შეფასებას არ ვეთანხმები, გამოკითხვების სანდოობაზე უკვე გითხარით და თუ ჭიაბერაშვილს მიაჩნია უტყუარ ჭეშმარიტებად ეს კვლევები, ეს მისი პრობლემაა. დაეცა თუ არა ოცნების რეიტინგი, ეს არ იქნებოდა გასაკვირი იმიტომ, რომ ამ გარდამავალ პერიოდში, როცა ნაცმოძრაობა ცდილობს, სახელი გაუტეხოს ქვეყანას და სიტუაცია მუქ ფერებში წარმოაჩინოს, ობიექტურად ისედაც პრობლემები აქვს ჩვენს ქვეყანას ეს ვიცით, გასაკვირი არ იქნება, რომ რეიტინგის დაცემა იყოს, მაგრამ არა ისე, რომ საგანგაშო იყოს. ეკონომიკური ფაქტორია ძალიან მნიშვნელოვანი და გამოქვეყნდა ამას წინათ შედეგები, რომ ზრდის მაჩვენებლები შეფერხებულია. ამაზე მიდის საუბარი, რა არის ამის მიზეზი. მაისის პერიოდში დაფიქსირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შეფერხება ბევრად უფრო საგანგაშოა, ვიდრე სოციოლოგიურ კვლევებზე მიკერძოებული ჩინოსნის პირადი მოსაზრებები.

—ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა ერთ ტელეეთერში, რომ ეს რეიტინგის ვარდნა საგანგაშო არ არის და შემაშფოთებელი, რადგან მსგავსი რამ ევროპის ქვეყნებში გამარჯვებულ პარტიებსაც ახასიათებთ.

— ვეთანხმები ქალბატონ სალომეს, დაახლოებით მეც იგივე ვთქვი, ეს არის ბუნებრივი პროცესი იმიტომ, რომ მოლოდინი ახალი ხელისუფლების მიმართ ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე რეალობა.

— ნაცმოძრაობის მიერ ჩატარებულ პრაიმერებში დავით ბაქრაძე ლიდერობს. რას იტყვით ამ შედეგებზე?

— პრაიმერი, რომელსაც ნაცმოძრაობა ატარებს, არის ფარსი და ცინიზმი, მთლიანად ნაცმოძრაობის მიმართ არის საზოგადოებაში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. ბაქრაძეს აღბათ შედარებით პოზიტიური იმიჯი აქვს, არ იყო აგრესიული განცხადებებში. ბაქრაძე იყო პარლამენტის თავმჯდომარე, იყო ერთ-ერთი პირველი პირი და გადაწყვეტილების მიმღები, მისი უწყინარი ღიმილის და როტორიკის ქვეშ იმალება სხვა სახე, ცხვრის ქურქში რომ მგელი დაიმალება. პარლამენტის თავმჯდომარე არის კარგი და პარტია — ცუდი, ეს გამორიცხულია.

—ბურჯანაძეს მხარს უჭერს ადამიანების ის კატეგორია, რომელიც ელოდება სამართლის აღდგენას და კოჰაბიტაციის წინააღმდეგეგია, მაგრამ საინტერესოა, რომელი კატეგორია უჭერს მხარს გიორგი თარგამაძეს და სალომე ზურაბიშვილს?

— გიორგი თარგამაძეს რაც შეეხება, მას ეყოლება უმნიშვნელო რაოდენობით მხარდამჭერები, ამიტომ მასზე განსაკუთრებით ყურადღების გამახვილება არ ღირს, მით უმეტეს, ის აღიქმებოდა როგორც ნაციონალების სატელიტი პარტიის ლიდერად და მისი პიროვნულად კარგი თვისებების მიუხედავად ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. სალომე ზურაბიშვილი სულ სხვა კატეგორიაა, მაღალი კლასის დიპლომატი, ობიექტური და მოუსყიდველი, მას ეყოლება თავისი მხარდამჭერები, თანაც არც ისე ცოტა. ბურჯანაძეს რაც შეეხება, ჩემი აზრით, რთული საკითხია ის, რომ ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე და შვიდ ნოემბერს მისი გამოსვლის მოსმენის საშუალება აღბათ მიეცემა მის მხარდამჭერებს და იქნება ბევრი კითხვა ამ პროცესებთან დაკავშირებით.

— პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ის პოლიტიკაში არ მოდის, მაგრამ მაინც საინტერესოა ანალიზი, რომ მიელო მონაწილეობა არჩევნებში, მისი ფაქტორი რამდენად იმოქმედებდა წინასაარჩევნო კამპანიაზე და შემდგომაც, და ვის წაართმევდა ხმებს?

— პაატა ბურჭულაძე ბევრს წაართმევდა ხმებს, მის მიმართ საზოგადოებას აქვს ჯანსაღი და სწორი დამოკიდებულება, ის არის ღირსეული პიროვნება, პროფესიონალი, ქველმოქმედი, დადებითი პიროვნებაა, ბევრ ხმას მიიღებდა. თუმცა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მონაწილეობას რომ არ იღებს არჩევნებში. ამით მოიგებს პროცესი იმიტომ, რომ ბატონი პაატას ავტორიტეტი და თბილი დამოკიდებულება საზოგადოებისა არაერთხელ დაგვჭირდება, ის თუ არ იქნება პრეზიდენტი, სხვა ნებისმიერ რანგში ძალიან სასარგებლო იქნება საზოგადოებისთვის.

— მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება ბედუკაძის პასუხიმგებლობის შესახებ ცნობილია, მაგრამ ამას მოჰყვა თავად ივანი შვილის დაოცნების ლიდერების მხრიდან პროტესტი. ამ შექმნილ სიტუაციაზე რა აზრის ხართ?

— ნაციონალების შექმნილი იყო წამების სისტემა, ამდენად, უკიდურესი ცინიკური დამოკიდებულებაა მათი მხრიდან, კბილაშვილის გადაწყვეტილება სწორია, მას სჭირდება თავისი გუნდისგან პოლიტიკური მხარდაჭერა, ეს არ არის მარტივი საკითხი, რთულია, ციხიდან გამოტანილმა კადრებმა გადაწყვიტა არჩევნების ბედი, არა მგონია, მორალური პასუხისმგებლობისგან იყოს თავისუფალი ბედუკაძე.

ბურჯანაძემ და კუკავამ წინასაარჩევნო პიარში აირჩიეს ის გზა, რომ გვაშინებენ ნაციონალების მოსვლით ისევ ხელისუფლებაში, სახეს იცვლიან და დაბრუნდებიან, მთლად უსაფუძვლო არ არის ეს შიში, ჩვენი ისტორია მოწმობს, რომ ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს პოლიტიკაში, ეს ისეთი ჰიდრაა, ნაცმოძრაობა, რომ ისევ არსებობს საფრთხე მისი რეინკარნაციისა. სწორი სვლა გააკეთა ბატონმა ივანი შვილმა, როცა თავისი პარტია შექმნა, მაგრამ ახლა ეს პარტია უნდა გაძლიერდეს, აქტიურად უნდა იმოქმედოს პოლიტიკაში. კოალიცია ეკლექტურია და მალე დაიშლება, მაგრამ ივანი შვილისთვის მთავარი საყრდენი ძალა მისი პარტიაა, ადგილობრივი არჩევნები მოდის მომავალი წლის გაზაფხულზე და ამ პარტიას ბევრი სამუშაო აქვს.

არჩილ კბილაშვილმა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტში შეხვედრები გამართა

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტში შეხვედრები გამართა.

კბილაშვილი ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის საერთაშორისო საკითხთა ოფისის წარმომადგენელს მარკუს ბუშს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის რეგიონალურ და ევრაზიის დირექტორებს ფეი ერანშტამსა და ქეთრინ ნიუკომბს შეხვდა.

ვიზიტის პირველ სამუშაო დღეს, მთავარმა პროკურორმა დელეგაციის სხვა წევრებთან, უმრავლესობის წარმომადგენლებთან ირაკლი ჩიქოვანთან და დავით ონოფრიშვილთან ერთად, შეხვედრა გამართა ასევე კონგრესმენ სტივ შაბოთთან, ოჰაიოს შტატიდან.

არჩილ კბილაშვილის განცხადებით, შეხვედრებისას საუბარი, საქართველოში მიმდინარე რეფორმებს შეეხო.

„ბუნებრივია, მე, როგორც მთავარმა პროკურორმა ვისაუბრე ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივ პროცესებზე, იმ მნიშვნელოვან ტენდენციებსა და რეფორმებზე, რაც ამ სფეროში ხორციელდება. მათი მხრიდან არსებობს თანამშრომლობის დიდი სურვილი და პარტნიორული ურთიერთობის განგრძობითობის მზაობა“ — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ შეხვედრებზე კონკრეტული დაკავების საქმეებსა და სპეციფიკურ საკითხებზე საუბარი არ ყოფილა, ამერიკელი პარტნიორები უფრო მეტად, სამართლებრივ სფეროში არსებული ზოგადი მდგომარეობით, მიდგომებითა და ტენდენციებით დაინტერესდნენ.

„ჩვენ მზად ვართ, თუკი სპეციფიური შკითხვები იქნება, პასუხი გავცეთ“-დასძინა კბილასვილმა.

შეგახსენებთ, აშშ-ში, საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი 16 ივლისს დაიწყო და რამდენიმე დღეს გასტანს.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვედრებს მართავენ ამერიკის კონგრესში, სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტში, ასევე ადგილობრივი მედიისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

ნიუსპრესი

საქართველომ შეერთებულ შტატებს ბავშვზე ძალადობაში ბრალდებული პირი გაუდასცა

საქართველოს მთავრობამ, შეერთებული შტატების მოქალაქის ჩარლზ არტურ ფლეტჩერის ექსტრადირება მოახდინა.

აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, ფლეტჩერი ბავშვზე ძალადობაშია ბრალდებული. მის წინააღმდეგ საქმე 2012 წელს, ვაშინგტონის შტატში აღიძრა. ფლეტჩერს სამშობლოში შეერთებული შტატების სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლები გაჰყვნენ.

2012 წლის 13 ნოემბერს, გამოძიების ფედერალური ბიუროს თბილისის წარმომადგენლობის, საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებისა და ინტერპოლის თანამშრომლობის შედეგად, ფლეტჩერი საექსტრადიციო პროცედურების დასრულებამდე საპყრობილეში მოათავსეს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს სიეტლის განყოფილების სპეციალური აგენტის ლორა ლაფლინის განცხადებით, გამოძიების ფედერალური ბიურო აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების მნიშვნელოვან წვლილს გაქცეული ბრალდებულის საქმის გამოძიების, მისი დაპატიმრებისა და ექსტრადიციის საქმეში.

„აღნიშნულ უწყებებთან ძლიერი და ხანგრძლივი თანამშრომლობის წყალობით, ბატონ ფლეტჩერს სერიოზული ბრალდებები წარედგინება“ განაცხადა ფედერალური ბიუროს წარმომადგენელმა.

ნიუსპრესი

პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის მოქალაქე, 1977 წელს დაბადებული ბექირ ჩ., პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფისთვის დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს ოზურგეთის რაიონის დასახლება შეკვეთილში, მძღოლების მოსასვენებელ შენობაში, ე.წ. „ტირ პარკ“-ში, დროებით მფლობელობაში ფართი ჰქონდა, სადაც გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, რამდენიმე თვის განმავლობაში, ქალბატონებს, პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდა. მოწმის სახით არიან დაკითხულნი „ტირ პარკ“-ის მომსახურე ქალბატონები. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე, სსსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

უნგრეთში „დედ ჰასანის“ სავარაუდო მკვლელი, ქართველი კანონიერი ქურდი „მერაბ სუხუმსკი“ დააკავეს

უნგრეთში სამართალდამცველებმა, რუსეთში მოკლული კრიმინალური ავტორიტეტის ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ მკვლელობის შესაძლო მონაწილე, ე.წ. „კანონიერი ქურდი“ მერაბ ჯანგველაძე, იგივე ,,მერაბ სოხუმსკი“ დააკავეს.

რუსი სამართალდამცავების ცნობით, მერაბ ჯანგველაძე უნგრეთში, ბუდაპეშტის სასტუმროში დააკავეს. მას ბრალად იტალიის ტერიტორიაზე მკვლელობის ჩადენა ედება.

რუსული მედიის ცნობითვე, ამ დროისთვის რუსი და იტალიელი პოლიციელები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ ორგანიზებული დაჯგუფების — ,,ქუთაისელების“ საქმიანობა აღმოფხვრან. დაკავებული ,,მერაბ სოხუმსკი“ სწორედ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერია.

,,აღნიშნული ორგანიზებული დაჯგუფების წევრი ქართველი ემიგრანტები, იტალიელი სამართალდამცავების მხდეველობის არეში მას შემდეგ მოხვდნენ, რაც მათ იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, ესპანეთის, ჩეხეთის და ლიტვის ტერიტორიაზე აღნიშნული დაჯგუფების მიერ უმძიმესი დანაშაულების ჩადენის შესახებ ეჭვი გაუჩნდათ“-ნათქვამია რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციით, იტალიელი პოლიციელები ასლან უსოიანის მკვლეობის სავარაუდო შემკვეთების კვალზე გავიდნენ.

ისინი ,,დედ ჰასანის“ მკვლელობის ერთ-ერთ სავარაუდო შემკვეთად სწორედ მერაბ ჯანგველაძეს ასახელებენ.

75 წლის ,,დედ ჰასანი“ მოსკოვში 16 იანვარს, ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსვლისას მოკლეს. მას უცნობმა პირმა ერთხელ ესროლა, საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

ნიუსპრესი

აკვაპარკის ხელმძღვანელობა ხანძრის შეგნებულად გაჩენას უარყოფს

აკვაპარკის ხელმძღვანელობა გავრცელებულ ხანძრის შეგნებულად გაჩენის შესახებ ინფორმაციას უარყოფს.

აკვაპარკის დირექტორის აკაკი სულხანიშვილის თქმით, მისთვის უცნობია ხანძრის გამომწვევი მიზეზები, თუმცა უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ხანძარი, სავარაუდოდ, შეგნებულად არის გაჩენილი.

მისი თქმით, ხანძრის შედეგად დამწვარია სულ სამი ნაგებობა, რომლის აღდგენა უახლოეს დღეებში დაიწყება. აკვაპარკი კი მუშაობას ორ დღეში აღადგენს.

სულხანიშვილის განმარტებით, ქონება დაზღვეულია ერთ-ერთ საერაშორისო დაზღვევო კომპანიაში.

მედიანიუსი

„გრძელი, ნათელი დღეები“ საუკეთესოა

ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორის ნანა ექვთიმიშვილისა და გერმანელი რეჟისორის სიმონ გროსის ერთობლივმა ნამუშევარმა „გრძელი, ნათელი დღეები“ გრანპრი მოიპოვა. ქართული ფილმი ევროპული კინოფესტივალის ფავორიტად აღიარეს.

ქართულ-გერმანული ნამუშევარი ევროპის ახალგაზრდული კინოფესტივალის „ვოის 2013“-ის რჩეული გახდა და ის ჟიურიმ საუკეთესოდ აღიარა.

ერთობლივი ფილმი ორი თინეიჯერი გოგონას, ნათიასა და ეკას ცხოვრებას 90-იანი წლების ფონზე ასახავს. ფილმში გაცოცხლებულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დღეები.

როგორც ფილმის რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი აცხადებს:

– ასამდე სკოლა მოვიარეთ, სანამ ეკას როლის შემსრულებელს ვიპოვიდით. ნათია კი ქუჩაში შევნიშნეთ და მაშინვე გადაღებებზე მივიწვიეთ. კასტინგი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი პოლონელმა მსახიობმა კატარინა კვიატოვსკმა დაიმსახურა ფილმში ფილმში „ქალური დღე“. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე ცნობილი გახდა, რომ ნანა ექვთიმიშვილი და კატარინა კვიატოვსკი იუბილარები იყვნენ. ჟიურის წევრებმა შეკრებილი საზოგადოებისთვის საგანგებო განცხადებაც გააკეთეს და განაცხადეს, რომ ამ ორი პიროვნების იუბილეების შესახებ არაფერი იცოდნენ, ეს უბრალოდ დამთხვევაა და საპრიზო ადგილების გამოვლენაზე ამ ფაქტორს არ უმოქმედია.

საუკეთესო მსახიობად აღიარეს ლარს მიკელსენი დანიურ ფილმში „ზედამხედველი“ შესრულებული როლისთვის, თუმცა მსახიობი ჯილდოს წასაღებად ცერემონიაზე არ მისულა. წლევანდელი ფესტივალი სოფია კოპოლას „ელიტური საზოგადოებით“ დაიხურა. ფილმი თინეიჯერთა დაჯგუფებას ეხება, რომლებიც ბრენდული ნივთების გამო ჰოლივუდის ვარსკვლავების ბინებს ძარცვავენ.

მთლიანობაში ფესტივალზე 60 კინოჩვენება გაიმართა. ძირითად საკონკურსო პროგრამაში კი 9 ფილმი იყო წარდგენილი.

ნანა ექვთიმიშვილის ფილმისთვის ეს პირველი საერთაშორისო აღიარება არ არის. „გრძელი ნათელი დღეები“ ვისბადენის კინოფესტივალ „გოუ ისთ“-ზე მთავარი პრიზისა და 100.000 ევროს ოდენობის ჯილდოს მფლობელი გახდა.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივმა ნამუშევარმა წარმატებას მიაღწია სლოვაკეთში საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ორი პრიზი დაიმსახურა. საუკეთესო შესრულებისათვის მსახიობ ქალებს შორის აღიარეს 14 წლის ლიკა ბაბლუანი. პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის კი გადაეცა ნანა ექვთიმიშვილსა და სიმონ გროსს.

ჟიურის მოტივაცია ლიკა ბაბლუანის პრიზისთვის ასეთია:

„ჩვენ ქედს ვიხრით დიდი ნიჭის მქონე ახალგაზრდა ტალანტების წინაშე, რომელთა ნიჭი უკვე ამ ადრეულ

ასაკში ვლინდება და საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უნარებით, ინტუიციით და გონებით“.

რაც შეეხება ჟიურის მოტივაციას ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის პრიზისთვის:

ჟიური აჯილდოვებს რეჟისორებს „იმ უზარმაზარი თანამშრომლობისთვის, რომელიც საზრიანად აკავშირებს ერთმანეთთან ბრწყინვალე საოპერატორო ნამუშევარს, შესანიშნავ სამსახიობო შესრულებას, ხმის ელემენტებს და ძლიერ ისტორიას, რომელიც ქმნის ამაღელვებელ საგას მოზარდების შესახებ და რომელიც ძალიან ძლიერ კინო-სივრცეში არის მოთხრობილი“.

ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა გაიმართა და დაჯილდოვდა ამა წლის ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

„გრძელი ნათელი დღეები“ ასევე მიიწვიეს კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში „ვერაიეთის 10 საუკეთესო ევროპელი რეჟისორი.“ ყოველ წელს ჩრდილოეთ ამერიკის ცნობილი კინოჟურნალი „ვერაიეთი“ წლის საუკეთესო 10 ფილმს ირჩევს და კარლო ვივარის საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს და ფესტივალის მაყურებელს წარუდგენს. ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის გახმაურებული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ათ ევროპულ ფილმს შორის მოხვდა. მართალია ქართული ფილმი არასაკონკურსო პროგრამაში იქნა წარდგენილი, თუმცა მისი შემქმნელების აზრით, ესეც დიდი გამარჯვებაა.

„გრძელი ნათელი დღეები“ უკვე მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებში და ჟიურისა თუ მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. ფილმი წარდგენილი იყო ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში, ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ვოლოგდის დამოუკიდებელი ევროპული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ფილმისთვის მაინც წლევანდელი ბერლინალე აღმოჩნდა – სიმონ გროსი წარმოშობით ბერლინელია, ნანა ექვთიმიშვილი კი იქ სწავლობდა და ბერლინში ათ წელზე მეტია რაც ცხოვრობს. შეიძლება ითქვას, პრემიერა მათთვის მშობლიურ ქალაქში გაიმართა.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. მას სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა და ფილმისათვის 250 000 ლარი გამოყო. ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები, ფილმს ასევე სუბსიდია გაუწიეს გერმანიის და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა. ფილმის ოპერატორია რუმინელი ოლეგ მუტუ, რომელიც ოპერატორია ისეთი ფილმებისა, როგორებიცაა კრისტიან მუნჯუს „გორაკებს მიღმა“, „4თვე, 3კვირა, 2დღე“, ასევე სერგეი ლოზნიცას ფილმები: „ნისლში“, „ჩემი ბედნიერება“ და ალექსანდრე მინდაძის „ერთ შაბათს“. ამ ფილმებმა მრავალი პრიზი და აღიარება დაიმსახურა კანისა და ბერლინის კინოფესტივალებზე. 2007 წელს კრისტიან მუნჯუს ფილმს „4თვე, 3კვირა, 2დღე“ კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო – ოქროს პალმის რტო ერგო. ფილმის სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის, მონტაჟი – შტეფან შტაბენოვს, პროდიუსერები – სიმონ გროსი, მარკ ვეხტერი, კო-პროდუსერი – გიომ დე სეიე, მთავარ როლებში – ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია, როლებში – თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ღლიძე.

– ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმ დროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება... ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი, – ამბობს ფილმის ქართველი რეჟისორი.

კითხვაზე, თუ როგორ გაჩნდა ფილმის იდეა, რეჟისორი პასუხობს:

– თბილისში დავიბადე და გვიან 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში, სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისში არის მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველ დღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერმანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე... იმაზე რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო, ძალიან მტკივნეულად, ადამიანების და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მახსოვრობიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება.

ფილმების ჩვენებას კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე ორგანიზებას უწევდა ორგანიზაცია „ევროპული ფილმების განვითარება“. ღონისძიების მხარდამჭერები ევროპის კავშირის მედიაპროგრამა და „ევროპული ფილმების განვითარების“ ათი დამფუძნებელი ორგანიზაცია იყვნენ. პროექტი განხორციელდა სახელწოდებით „მრავალფეროვნების ათი ევროპელი რეჟისორი, რომელიც უნდა ნახო“. მთლიანობაში ათი ევროპელი რეჟისორის ფილმი იქნა ნაჩვენები და შეკრებილ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა თავად რეჟისორებსაც შეხვედროდა.

– კარლოვი ვარის კინოფესტივალში შერჩეული ათი ევროპელი რეჟისორი წარმოაჩენს იმ მრავალფეროვნებას, რომლის შემოთავაზება თანამედროვე ევროპულ კინოს შეუძლია. როგორც ყოველთვის, შერჩევის დროს ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ასახული ყოფილიყო ის ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რომელშიც ევროპელი რეჟისორები მუშაობენ. ჩვენ ვნახავთ ისტორიებს ასაკობრივ თემაზე, ოჯახური დრამას (დოკუმენტურს) მუსიკით, თრილერს, შავ კომედიას – აცხადებს ორგანიზაცია „ევროპული ფილმების განვითარების“ წევრი ალისა სიმონი.

წელს პროექტის ავტორთა გადაწყვეტილებით, შერჩეულ ფილმებს შორის მოხვდნენ ფელიქს ვან გრონინგენის „ოჯახური დრამა“ (ბელგია), გაბრიელა პიშლერის ფილმი „ჭამე, იძინე, მოკვდი შვედეთში“, რომელიც ემიგრირებული ახალგაზრდის პრობლემებს ეძღვნება. ელინა ფსიქოუს ანტონის პარასკევასის „სამუდამო დაბრუნება“, ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, მიქიელ ტენ ჰორნის ევა ვან ენდის „ქალწულობის დაკარგვა“. ფილმი ფუნქციადაკარგული ნიდერლანდული ოჯახის სატირულ კრიტიკაზეა, პოლონელი ვო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გინვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების ნევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

დინამო ევროტურნირი შთამბეჭდავად დაიწყო

დინამო (საქართველო) – სტრეიმური (ფარერები) 6:1
თბილისი. დინამო არენა. 13.000 მაყურებელი

1:0 უსტარიცი (40), 1:1 გლიშიჩი (ს.კ 42), 2:1 დვალი (43), 3:1 გრიგალაშვილი (72), 4:1 ჩისკო (74), 5:1, 6:1 ვუო (77, 81)

დინამო: ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, უსტარიცი, კვირკველია, გლიშიჩი, ხმალაძე, ჩისკო (ხოჭოლავა 88), დვალი (ვუო 70), ძარია (ე.გრიგალაშვილი 22), მერებაშვილი

სტრეიმური: ტორგარდი, გ.ჰანსენი, დურჰუსი, დავიდსენი, ნიელსენი (ი.ჰანსენი 90), იაკობსენი, დამი, ნიკლასენი, ლ.ჰანსენი, დანიელსენი (ბ.ოლსენი 76), ა.ჰანსენი

თბილისის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი ფარერულ „სტრეიმურთან“გამართა და მეტოქე მიწასთან გაასწორა. დედაქალაქელებმა მეტოქეს 6 ბურთი გაუტანეს, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ იძლევა. კონკრეტულად საპასუხო მატჩზე არ არის საუბარი – „დინამოს“ თამაშში გამოჩნდა ის ხარვეზები, რომელიც აშკარად მოითხოვს გამოსწორებას. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე პოზიცია გასაძლიერებელია, თორემ ის დიდი მიზანი, რასაც ჯგუფური ეტაპი ქვია, ისევ მოსანატრებელი დაგვრჩება.

„სტრეიმურთან“ მატჩი კი მხიარული სანახავი გამოდგა – 7 გოლი და ორი ამდენი საგოლე მომენტი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა რამდენიმე მათგანზე ყურადღებას მაინც გავამახვილებთ.

კარგი მომენტები შეექმნათ ხმალაძეს, დვალს, ჩისკოს... კვარაცხელიამ ძელს, ხოლო მერებაშვილმა ხარიხას გაარტყა ბურთი.

ყველაზე რეალური მომენტი დვალს ჰქონდა, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ბურთს კარიდან წინ გამოსულ ტოგრადს თავზე უგდებდა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა – არადა, ასპროცენტიანი მომენტი იყო.

მე-40 წუთზე დინამოელთა მორიგ შეტევას გოლი მოჰყვა. გრიგალაშვილმა ბურთი ფლანგზე მოძრავ ჩისკოს გააყოლა, რომლის გამოზომილ ჩაწოდებას საჯარიმოში თავი უსტარიცმა დაუხვედრა და ზუსტად გადაგზავნა კარში.

ზუსტად 2 წუთში „დინამომ“ საკუთარ კარში მოულოდნელი და ალოგიკური ბურთი მიიღო. მარცხენა ფლანგიდან ჰანსენის ჩაწოდების შემდეგ, ლორიამ გამოსვლაზე შეცომა დაუშვა – ბურთი აღარ დაიჭირა, რომელიც თავში მოხვდა გლიშიჩს და კარში შევარდ – 1:1.

ფარერელებს დიდხანს არ გაუხარიათ. სულ რამდენიმე წამში ჩისკო ამჯერად მარცხნიდან გაექცა მცველებს და მეკარის ბაქანთან კარგ პოზიციაში მყოფი დვალი მოძებნა – დინამოელთა შემტევმა ამჯერად დასწრებაზე ითამაშა და ბურთს მიმართულება ზუსტად შეუცვალა.

მეორე ტაიმიც დინამოელთა შეტევებით დაიწყო: დვალ და მერებაშვილს ისევ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ ორივე სიზუსტემ დააღალატა.

იქვე „დინამოც“ გადარჩა: 61-ზე უსტარიცი შეცდა, ლორიასთან პირისპირ დარჩენილმა არნბიორნ ჰანსენმა ძალიან მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

72-ეზე გრიგალაშვილმა საკუთარ თავზე აიღო თამაში, ორი მცველი მარტივად ჩამოიშორა და ანგარიში 3:1 გახადა. 3 წუთში ანგარიში კიდევ გაიზარდა – დინამოელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, ბურთი გიორგი მერებაშვილმა წამოიღო, საჯარიმოში გრიგალაშვილი მოძებნა, ამ უკანასკნელმა კარის ხაზისკენ გამჭოლი გადაცემა გააკეთა და ჩისკოს ისღა დარჩენოდა, მშვიდად გაეტანა თავისი გოლი.

77-ეზე თბილისელთა ახალწვეულმა პატრიკ ვუომ ის გააკეთა, რისთვისაც იყიდეს. საჯარიმოში მყოფმა, ხმალაძის პასის შემდეგ, აუღელვებლად გამოიყენა საკუთარი მომენტი. 81-ეზე კი დებიუტანტმა დუბლიც გაიფორმა.

ერთწლიანი შესვენების შემდეგ ევროთასებს დაბრუნებული „დინამო“ 200-გოლიან ზღვარს მიუახლოვდა – კლუბისთვის პირველივე ბურთი საიუბილეო იქნება. ცნობისათვის: ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დინამომ 41 გოლი გაიტანა, უეფას თასზე/ევროპალიგაზე – 116, თასების მფლობელთა თასზე – 30, ინტერტოტოს თასის გათამაშებაში კი – 12. 199 გოლის გატანა საქართველოს ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა 138 მატჩში მოახერხა.

„დინამომ“, რომლის დებიუტი ევროპის საკლუბო ტურნირებში 41 წლის წინ შედგა, პირველად გაიტანა ერთ მატჩში 6 გოლი, 5-ბურთიანი უპირატესობით კი ევროისტორიაში მეორედ გაიმარჯვა. პირველად 2011 წელს, როცა უეფას ევროპალიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე უელსის ლანელი შინ 5:0 გაანადგურა.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ისაა, რომ ერთ ევრომატჩში 5-მა დინამოელმა გამოიჩინა თავი, რაც აქამდე არ მომხდარა.

განმეორებით მატჩს საქართველოს ჩემპიონი სტუმრად 23 ივლისს ჩაატარებს.

მატჩის შემდეგ

რუნი ნოლსოე, სტრეიმურის მთავარი მწვრთნელი:

– თავიდანვე ძალიან რთული თამაში იყო. პირველი ტაიმი თანაბრად ვეთამაშეთ ბოლო წუთებამდე მეტოქეს. შეხვედრაში გადამწყვეტი მომენტი ის იყო, როდესაც ანგარიში გავათანაბრეთ, მაშინვე გავუშვით საპასუხო გოლი. გათანაბრება კვლავ შეგვეძლო, თუმცა ძალიან ხელსაყრელი მომენტი გააფუჭა ჩვენმა თავდამსხმელმა. ამის შემდეგ „დინამო“ საკმაოდ კარგად ათამაშდა და აშკარად ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. ჩემმა ფეხბურთელებმა კონცენტრაცია დაკარგეს. შემიძლია ვთქვა, რომ ისინი დაიღალნენ. ნამდვილად არ ვართ ჩვეულნი ასეთ სიცხეში ასპარეზობას. საპასუხო მატჩში ასეთი ძლიერი მეტოქის წინაშე 5 ბურთი გვაქვს გასატანი, ამიტომ შანსებზე საუბარი ზედმეტია. ერთადერთი, რითიც კმაყოფილი ვიქნები, უბრალოდ გამარჯვებაა.

დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:

– დასაწყისი საკმაოდ რთული გამოდგა ჩვენთვის, რადგან მოწინააღმდეგე გუნდი მოედანზე ძალიან კარგად გამოიყურებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ დვალის მეორე გოლი შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი იყო. როცა ანგარიში 1:1 იყო ოდნავ შევშინდი კიდეც. მეტოქეს კარგად ნამდვილად არ უთამაშია, თუმცა მეორე სართულზე ბრძოლაში აშკარად კარგად გამოიყურებოდნენ. დიდი სურვილი მაქვს, განმეორებით მატჩშიც გავიმარჯვოთ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

– ირაკლი ძარიას ტრავმა რამდენად სერიოზულია და ითამაშებს თუ არა ის მომდევნო მატჩში?

– ვფიქრობ, მეორე თამაშს ძარია არ ითამაშებს, ხოლო რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, ამას სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გავიგებთ.

– დღეს რამდენიმე მოთამაშემ გაფრთხილება მიიღო. დისკვალიფიკაციის საშიშროება არსებობს.

– რთულია იმის თქვა, თუ ვინ ითამაშებს შემდეგში. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც მათ შეცვლიან.

– პირველი ტაიმის შემდეგ ასეთ გამარჯვებას ელოდით?

– გადაჭრით იმის თქმა არ შემიძლია, რომ ასეთ გამარჯვებას ველოდი. ცვლილებები გავაკეთე და, რაც მთავარია, მჯეროდა.

ზესტაფონის წერილი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 2 ივლისს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება რამდენიმე კერძო კლუბის მეპატრონისათვის, მათ შორის საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიასათვის, „ასოცირებული წევრის“ სტატუსის მინიჭების შესახებ. სფფ-ის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში გაკეთებულია განმარტება იმის თაობაზე, რომ – ასოცირებული წევრები ხმის უფლებით ვერ ისარგებლებენ, თუმცა, სხდომებსა და დებატებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

უნდა მოგახსენოთ იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას არაერთგზის განუცხადებია იმის შესახებ, რომ, ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია ფედერაციის აღმასკომის შემადგენლობაში ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ინვესტორთა ფართოდ წარმოდგენა. ნაცვლად ამისა, 2 ივლისს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც კერძო კლუბების ხელმძღვანელებს ხმის არ მქონე დამკვირვებლების როლი უნდა მინიჭებოდათ...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გუშინ, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა წერილობით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად სიჭინავას.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ წერილის შინაარსი, რომელსაც ხელს ილია კოკაია აწერს, ასეთია:

– როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი სფფ-ს აღმასკომის წინა სხდომაზე ამირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტის ე.წ. „ასოცირებულ წევრად“.

აღმასრულებელ კომიტეტში ასოცირებულ წევრად არჩევა მოხდა ჩემგან შეუთანხმებლად და შეტყობინების გარეშე. ხოლო იმ პირობებში, როდესაც წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით და არ მონაწილეობს სხდომაზე დასმული საკითხების გადაწყვეტაში, ჩემთვის მიუღებელია აღმასკომში მუშაობა.

მიმაჩნია, რომ სხდომებზე ხმის უფლების გარეშე მონაწილეობა ვერ უზრუნველყოფს იმ მთავარი მიზნის მიღწევას, რასაც დამოუკიდებელი კერძო კლუბების აღმასკომში გაწევრიანება და მათი მხრიდან მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება წარმოადგენს.

ამდენად გთხოვთ გააუქმოთ აღმასკომში ჩემს ასოცირებულ წევრობასთან მიღებული გადაწყვეტილება.

დილა სალერით შეიმოსება და ავტოგაზპრომი უპატრონებს

საფეხბურთო კლუბ „დილასა“ და კომპანია „სალერს“ შორის შეთანხმება შედგა. ამიერიდან „სალერი“ გორული გუნდის ტექნიკური სპონსორი მინიმუმ ორი წლის განმავლობაში იქნება.

შეხვედრაზე გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის დასრულების შემდეგაც „დილას“ ახალი მაისურების პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გუნდის ორმა ფეხბურთელმა, მცველებმა გულვერდ თომაშვილმა და ალექსანდრე კვახაძემ მოიზომეს. საშინაო მატჩებში „დილას“ წითელი ფერის მაისური ეცმევა, ხოლო გასვლით თამაშებს ცისფერი ფორმებით ჩაატარებენ.

კიდევ ერთი სიახლე გორულ კლუბში ის იქნება, რომ „დილას“ გენერალური სპონსორი კომპანია „ავტოგაზპრომი“ გახდება. ეს ქართული კომპანია თავის მიზნებს უახლოეს ხანში გააცნობს გულშემატკივართ. როგორც ირკვევა, „ავტოგაზპრომი“ სოლიდური თანხის ჩადებას აპირებს კლუბში.

„დილას“ მაისურებზე „ავტოგაზპრომი“ ეწერება, თუმცა, ეს სავარაუდოდ დანიურ „ოლბორგთან“ განმეორებითი მატჩისას.

პირველ შეხვედრას კი დილა დღეს, „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გამართავს და მატჩი 18 საათზე დაიწყება.

მინისტრმა ზუგდიდს დაპირება მისცა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი რეგიონებში დაგეგმილ შეხვედრებს განაგრძობს.

მინისტრი, მოადგილე რატი ბრეგაძესთან ერთად ზუგდიდს ეწვია და ქალაქის კინოთეატრში გამართულ შეხვედრაზე, საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ გუშემატკივრებსა და ასევე ზუგდიდელ ახალგაზრდებს შეხვდა. შეხვედრის ძირითადი თემა საფეხბურთო კლუბ ზუგდიდთან დაკავშირებული პრობლემები იყო. მინისტრთან შეხვედრას, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია და ასევე საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის“ დირექტორი მალხაზ ჭეჟია ესწრებოდნენ. მხარეებმა საფეხბურთო კლუბ ზუგდიდის გარშემო შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს. საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ, კლუბის წინაშე სხვადასხვა პრობლემაა წარმოქმნილი, რომელთა მოგვარებაც მინისტრის დაპირებით, ერთობლივი ძალებით დაიგეგმა.

ლევან ყიფიანი:

– ზუგდიდში, კლუბის გულშემატკივრებთან შეხვედრაზე რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეული გუნდის სამომავლო დაფინანსების, ასევე დანგრეული სტადიონის და ზოგადად კლუბის ინფრასტრუქტურის აღდგენის საკითხებია. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ჩემპიონატის დაწყების წინ, გუნდში არსებული სხვა პრობლემების მოგვარებაც, მთავარი მწვრთნელის მოძიება და სხვა... შეიძლება ითქვას, რომ ამდენი პრობლემის დაგროვება კლუბისათვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვამაც გამოიწვია. დღვანდელი გადასახედიდან, დაფინანსების ძველებური სისტემა მართლაც რომ გაუმართლებელია, პრობლემადაა ქცეული სტადიონის საკითხიც, რის გამოც გუნდს განმუხურის მოედანზე უწევს ვარჯში, არადა, ზუგდიდის სტადიონის აღდგენა დიდი ხანია იგეგმებოდა და სხვადახვა მიზეზების გამო ფეხბურთელები, როგორც ხედავთ, დღეს კვლავ მოედნის გარეშე არიან. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბს თანადგომას დავპირდით და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა ღონეს ვიხმართ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ვფიქრობ, გუნდისთვის მტკივნეული საკითხების გადაჭრას ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად, კომპლექსური და სწორი მიდგომით შევძლებთ.

ილევ მარცხი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ბულგარეთთან წააგო. ჯგუფში ჩარჩენის შემდეგ დავით უსტიაშვილის გუნდმა სხვა უიღბლოებთან ერთად ბრძოლა საკვალიფიკაციო ჯგუფში, ა დივიზიონში დასარჩენად დაიწყო, თუმცა უკვე მეორე შეხვედრა დათმო.

პირველი მატჩი ქართველებმა ესტონეთთან წააგეს, დღეს კი ბულგარელებთან ვერაფერი გააწყვეს და დიდი სხვაობით – 44:85 დამარცხდნენ. ისედაც ტრავმებით გატანჯულ საქართველოს ნაკრებს ბექა ბურჯანაძის და გიორგი ცირეკიძის შემდეგ ნიკა რამიშვილიც გამოაკლდა. ბულგარელებთან მატჩში განაცხადში მხოლოდ 10 კალათბურთელი იყო. რამიშვილმა წინა მატჩში, ესტონეთთან ტრავმა მიიღო და ნაკრებს ვეღარ ეხმარება.

საქართველოს ნაკრები საკვალიფიკაციო ჯგუფის ბოლო მატჩს ხვალ შვედეთთან გამართავს. უკვე ცხადია, რომ საქართველო საუკეთესო 2 გუნდში ვეღარ მოხვდება და ბრძოლა მეორე საკვალიფიკაციო ჯგუფში ჩარჩენილებთან 17-20 ადგილებისთვის მოუწევს. ა დივიზიონში მხოლოდ მე-17 ადგილის მფლობელი რჩება, ბოლო 3 გუნდი კი ბ დივიზიონში ვარდება.

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები ლიტვაში გაემგზავრა

ლიტვაში წასვლამდე გია ცეცაძის გუნდმა რიგის „დაუგავასთან“ შეკრების ბოლო ტესტ-მატჩი გამართა. პირველი ამხანაგური შეხვედრის მსგავსად, საქართველოს ნაკრებმა მეტოქეს ექვსი ბურთი გაუტანა, თუმცა, ჩვენს ფეხბურთელებს შეხვედრაში იმდენი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდათ, რომ ანგარიში ასტრონომიული შეიძლებოდა ყოფილიყო.

მატჩი საქართველოს ნაკრების აბსოლუტური კარნახით მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ გუნდმა მშვენიერი გენერალური რეპეტიცია გაიარა.

პირველი ტაიმის დაახლოებით მე-11 წუთზე, ზივზივაძე-მარკოზაშვილი-ფანცულაიას კომბინაცია ზივზივაძემ თავად დაასრულა – 1:0. სწორედ, ამის შემდეგ დაიწყო გაუთავებელი, სწრაფი, კომბინაციური შეტევები, რომლებიც გოლით არა და არ სრულდებოდა. ასპროცენტიანი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს – არაბულმა, ფანცულაიამ, მარკოზაშვილმა, ცნობილაძემ...

ამის საპასუხოდ, მეტოქემ ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში, თერთმეტმეტრიანი დარტყმით შეძლო. საკუთარ საჯარიმოში მეტოქე ნიკა სანდოხაძემ წააქცია.

გაშვებული გოლის შემდეგ, საქართველოს ნაკრები თამაშს კვლავ უპირობოდ აკონტროლებდა. ჩვენი ფეხბურთელები მშვენივრად აგდებდნენ და უმატებდნენ ტემპს. თუმცა, პირველ ტაიმში ანგარიშის გაზრდა ვეღარ მოვახერხეთ.

მეორე ტაიმი კი, ორი წუთის დაწყებული იქნებოდა, რომ შეტევაში მშვენივრად ჩართული მთივლიშვილის გამჭოლი გადაცემა ბუდუ ზივზივაძემ გოლად აქცია – 2:0. ამ გოლმა ჩვენი ნაკრები აშკარად „გახსნა“ და თამაშის ბოლომდე, რიგელთა მეკარეს კიდევ ოთხჯერ მოუწია საკუთარი კარიდან ბურთის გამოტანა.

ანგარიში სამამდე გიორგი ფანცულაიამ გაზარდა, რომელიც საკუთარი ნახევრიდან გრძელი და უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ნიკა ჭანტურიამ. ამის შემდეგ, მოედანზე ახალშემოსული გურამ სამუშიას ჯერი დადგა, რომელმაც ტრადიციას არ უღალატა და ეფექტური გოლი გაიტანა. ნიკა სანდოხაძის გადაცემის შემდეგ, ნაკრების 7-მა ნომერმა მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო – 4:1.

ამასობაში, ნიკა კაჭარავამაც გაილაღა – საჯარიმოში ცრუ მოძრაობებით შევიდა და ნაკრების ანგარიში 5-მდე გაზარდა. წერტილი კი, ამ შეხვედრაში ლუკა ზარანდიამ საკმაოდ ეფექტურად დასვა. ნაკრების ყველაზე უმცროსმა წევრმა ბურთი თავისებურად „მოიგდო“, საჯარიმოს ხაზთან შეგებებული ყველა ფეხბურთელი თვალის დახამამებაში ჩამოიცილა და კარში ბურთიანად შევიდა – 6:1.

19-წლამდელებმა მატჩი შემდეგი შემადგენლობით დაიწყეს:

მიქავა, მთივლიშვილი, სანდოხაძე, ნ.ჭანტურია, უბილავა, ცნობილაძე, ენდელაძე, მარკოზაშვილი, არაბული (კაპ), ფანცულაია, ზივზივაძე

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ზარანდია, კაჭარავა, დვალი, გეგეჭკორი, სამუშია და გურეშიძე.

ლატვიური შეკრება 19-წლამდელთა თავკაცმა, გია ცეცაძემ შეაჯამა და მომავალ ფინალურ ეტაპზეც ისაუბრა.

გია ცეცაძე:

– ნაყოფიერი შეკრება გამოგვიდა. მშვენიერი პირობები იყო და კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით, ბიჭების შემართებითა და კონცენტრაციით. მადლობა ღმერთს, რა და როგორც დავგეგმეთ, ყველაფერი ისე გამოვიდა. ამ მომზადების შედეგი კაუნასში გამოჩნდება. ერთადერთი, კარგი იქნებოდა, ევროპალიგაზე თამაშის გამო გვიან დამატებული ბიჭები თავიდანვე ჩვენთან მომზადებულიყვნენ. თუმცა ეს ჩვენს თამაშზე გავლენას ვერ მოახდენს. ბიჭებიც და მთელი სამწვრთნელო შტაბიც 20 ივლისს მოუთმენლად ველით და გვინდა, ეს დღე მალე დადგეს. საფრანგეთის მწვრთნელი ჯგუფის ფავორიტად თურქეთს ასახელებს, მაგრამ მე ვიტყვი, რომ ჯგუფს ფავორიტი არ ჰყავს და ყველას შანსი თანაბარია. შეიძლება, ის ყველა გუნდს კარგად არ იცნობს, ან საგანგებოდ აკეთებს ასეთ განცხადებას. დაფარული არაფერია და დარწმუნებული ვარ, ჩვენი მატჩებიც გააანალიზა და გუნდის თამაში შეისწავლა, მაგრამ თუ მართლა არ გვიცნობს, ეს კარგია.

შედეგები

ფეხბურთი

ჯონჯაჯაფის ოჭოს თასი

კუბა–ბელიზი	4:0
აშშ–კოსტა რიკა	1:0

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პლზენი–ჟელეზნიჩარი	4:3
ბატე–შახტიორი(ყ)	0:1
დინამო(თბ)–სტრეიმური	6:1
შერიფი–სუტიესკა	1:1
ეკრანასი–ჰაფნარფიორდური	0:1
ბირკირკარა–მარიბორი	0:0
ფოლა–დინამო(ზ)	0:5
სტიაუა–ვარდარი	3:0

უეფას ევროპის ლიგა

ლევადია–პანდური	0:0

ხუსეთი. ჰიემიეხლიგა

ამკარი–ტომი	2:0
კრ.სოვეტოვი–სპარტაკი	1:2

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

როგორ შეარჩევენ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს?

ეკა ირემაშვილი

კულტურის სამინისტრომ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევად მზადება უკვე დაიწყო და სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატურების შესარჩევად სარეკომენდაციო საბჭოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც კულტურის სამინისტროში განმარტავენ, საბჭოს წევრობა თეატრალური განათლებისა და გამოცდილების მქონე პირებს შეუძლიათ.



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კანდიდატურების მიღებას სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს შესაქმნელად. საბჭოს მიზნები და ამოცანებია კონკურსის გზით, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შერჩევა; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისთვის კანდიდატთა დასანიშნად წარდგენა; სახელმწიფო პროფესიული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი.

საბჭოს შემადგენლობა: საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრი; საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი; საბჭოს წევრი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება.

საბჭოს მუშაობის წესი: საბჭო სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატთაგან კონკურსის საფუძველზე შეარჩევს შესაბამის კანდიდატს და დასანიშნად წარუდგენს მინისტრს;

საბჭო უფლებამოსილია, სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატები შეარჩიოს იმ თეატრებშიც, რომელთა სამხატვრო საბჭოები მინისტრს დასანიშნად წარუდგენენ სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატებს;

კანდიდატთა გამოსავლენად საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით; საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 4 წევრი მაინც; ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი; საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრი; საბჭოს არ ჰყავს თავმჯდომარე. საბჭოს სხდომებს წარმართავს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი.

საბჭოს დაკომპლექტების წესი: სამინისტროში საბჭოს წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ თეატრის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს; საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა იყოს თეატრმცოდნე, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, ან მრავალწლიანი თეატრალური საქმიანობის გამოცდილება. ცალკეული ორგანიზაცია უფლებამოსილია, სამინისტროს წარუდგინოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) კანდიდატი. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. საბჭოს შემადგენლობაში, კანდიდატთა საერთო სიიდან, შევა ის პირველი 7 (შვიდი) კანდიდატი, რომლებიც, წარდგენის შედეგად, მიიღებენ თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების ხმების უმრავლესობას (ერთი წარდგინება – ერთი ხმა); ხმათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში საბჭოს დაკომპლექტების მიზნით კანდიდატებს შეარჩევს მინისტრი; საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში საბჭოს შემადგენლობა შეივსება ხმების უმრავლესობის მქონე მომდევნო კანდიდატით/კანდიდატებით.

კანდიდატთა წარსადგენად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: თეატრის სფეროში მოქმედი ორგანიზაციის წერილობითი წარდგინება ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით; კანდიდატის სივი (საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით); კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი.

დოკუმენტაციის მიღების ვადები: კანდიდატურების წარსადგენად დოკუმენტაცია მიიღება 2013 წლის 18 ივლისის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში“.

სარეკომენდაციო საბჭოს შექმნის აუცილებლობა სახელმწიფო პროფესიული თეატრების შესახებ კანონის ამოქმედებამ გამოიწვია. 2013 წლის აპრილში ამოქმედებული კანონის მიხედვით, თეატრის შემოქმედებით მიმართულებასა და ფუნქციონირებაზე პასუხს სამხატვრო ხელმძღვანელი აგებს.

– სამხატვრო ხელმძღვანელი არის თეატრის საერთო ხელმძღვანელი, პასუხისმგებელია თეატრის საერთო საქმიანობაზე, მის მოვალეობაში შედის საშტატო ერთეულებისა და სახელფასო განაკვეთების განსაზღვრა, ის ხელმძღვანელობს სამხატვრო საბჭოს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავარ რეჟისორს, მთავარ დირიჟორს, მთავარ ბალეტმაისტერს, მთავარ ქორმაისტერს, მთავარ მხატვარს, ასევე, მასთან შეთანხმებით ხორციელდება თეატრის დირექტორის მიერ თეატრის ადმინისტრაციულ-ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური საქმიანობა, – განმარტავენ კულტურის სამინისტროში.

კულტურის მინისტრისთვის სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგენის უფლება კონკრეტული თეატრის სამხატვრო საბჭოებს აქვთ. მინისტრის ბრძანებით, სარეკომენდაციო საბჭოსაც ექნება უფლება იმ თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელები წარადგინოს, რომელთან სამხატვრო საბჭოებს კანდიდატურა მინისტრისთვის ექნებათ წარგენილი.

პროფესიული თეატრების შესახებ კანონი ძალაში უკვე შევიდა. კანონის მიხედვით, აღარ არსებობს თეატრის მმართველის ინსტიტუტი, ხოლო გაზრდილია სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილება. პროფესიული თეატრების შესახებ კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პროფესიული თეატრების საქმიანობის წესს, მათ დაფუძნებასთან, ფუნქციონირებასთან, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ წესებს განსაზღვრავს.

კანონის მიხედვით, თეატრის შემოქმედებით მიმართულებასა და ფუნქციონირებაზე პასუხს სამხატვრო ხელმძღვანელი აგებს. ახალი კანონის თანახმად, სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესიით რეჟისორი ან არანაკლებ 3 წლის თეატრალური სახელოვნებო გამოცდილების მქონე პირი. მას თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი 4 წლის ვადით, სარეკომენდაციო ან სამხატვრო საბჭოს წარდგინებით, ხოლო თეატრის დირექტორს ნიშნავს ასევე მინისტრი, სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგინებით. აქამდე არსებული კანონით სახელმწიფო თეატრების შესახებ თეატრის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი იყო თეატრის მმართველი, ის წარმართავდა თეატრის ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობასაც.

თეატრის მმართველის ინსტიტუტს აკრიტიკებდა რეჟისორი რობერტ სტურუა:

– მმართველი უცნაური ფიგურაა თეატრში. ცენზორს ჰგავს. ყოფილმა მთავრობამ ამიტომ დააწესა კაცი, რომელიც მიხედავდა სამხატვრო ხელმძღვანელს, რომ ძალიან არ გაეფრინა. ვემხრობი სამხატვრო ხელმძღვანელის უფლებამოსილების გაზრდას, – აცხადებდა რუსთაველის თეატრში დაბრუნებული რობერტ სტურუა.

კანონპროექტის ავტორი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტია. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა 2013 წლის 19 თებერვალს დაიწყო, ხოლო კანონი ძალაში 2013 წლის 5 აპრილს შევიდა.

ახალი კანონით, თეატრების მმართველი რგოლის არჩევა-დანიშვის პროცესი შემოქმედებითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობით განხორციელდება. ცვლილებები „პროფესიული თეატრების შესახებ“ კანონში შევიდა, რომლის ავტორები დეპუტატები ზაზა პაპუაშვილი და გედევან ფოფხაძე არიან. საკითხი პარლამენტის მიერ აპრილის თვეში მიღებულ ახალ კანონს ეხება, რომელშიც ცვლილებების შეტანის ინიციატივით ორი დეპუტატი გამოვიდა. კანონპროექტის თანახმად, სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის შერჩევა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სარეკომენდაციო საბჭოს გარდა, თეატრალურ კოლექტივთან – სამხატვრო საბჭოსთან კონსენსუსის გზით უნდა მოხდეს. პარლამენტში ინიცირებული პროექტით, კანონში დაზუსტებულია, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესიით რეჟისორი ან მსახიობი.

კულტურის სამინისტროში მრგვალი მრგვალი მაგიდა მიეძღვნა „კულტურის სფეროს დაფინანსების ალტერნატიული გზების ამოქმედების“ საკითხს, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას, შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით.

შეხვედრაზე განხილული იქნა ეროვნული კულტურის ხელშეწყობის მექანიზმები, საქველმოქმედო საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და ეროვნული ლატარიის საკითხი. სამომავლო ინიციატივის გაცნობის მიზნით, შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი, მანანა ბერიკაშვილი, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, იუსტიციის, ჯანდაცვის, სპორტის, ეკონომიკისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და კულტურის სფეროში მოღვაწე პირები.

თბილისის ზღვაზე „მისტერიკა ფესტივალი“ ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

18-დან 22 ივლისის ჩათვლით თბილისის ზღვაზე ნაციონალურ პარკში „მისტერიკა ფესტივალი“ გაიმართება. ფესტივალი, რომელიც თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში უნდა ჩატარებულიყო, მისმა ორგანიზატორებმა შექმნილი პრობლემების გამო, თბილისში გადმოიტანეს.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მართლმადიდებელმა მღვდლებმა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთთან ღია ცის ქვეშ ფესტივალის ჩატარება გააპროტესტეს. ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, რომ მიუხედავად საფესტივალო ადგილის შეცვლისა, ყველაფერი იგივე რჩება. „მისტერიკა ფესტივალი“ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დედაქალაქის მერიის ნებართვით ჩატარდება. ღონისძიების ადგილამდე ტრანსპორტი მეტრო სარაჯიშვილიდან იმოძრავებს. ფესტივალის ადგილამდე მისვლა და მასზე დასწრება 150 ლარი ღირს. ღონისძიების ჩატარების ადგილას ნაღმების და სასმელის შეტანა აკრძალულია.

ფესტივალის ორგანიზატორია „ქრონო“, რომელიც ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას წელს პირველად მართავს. ასურეთი ოფენ ეარ „მისტერიკა ფესტივალი“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალია. მასში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი, უკრაინელი, რუსი, პოლონელი, ბრიტანელი, ჩეხი, ლიტველი, ფინელი, ბერძენი და შვედი მუსიკოსები.

ფესტივალის ლოგოზე გამოსახულია თვალი და ინგლისურენოვანი წარწერა „ვი არ ზი ვოლდ“ (ჩვენ ვართ მსოფლიო).

როგორც ფესტივალის „ფეისბუქის“ გვერდზე წერია:

„ქართველები მეგობრული და სტუმართმოყვარე ხალხია. ტკბებიან ცხოვრებით და აფასებენ წყლის სისუფთავეს, რაც აქ უხვადაა. ელექტრონული მუსიკის უცხოელ მსმენელებს ვეპატიჟებით ქვეყანაში, სადაც აფასებენ მეგობრობას, სადაც გულღია და მხიარული ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მეგობრის გამო ყველაფერს გააკეთებენ“. ფესტივალის ორგანიზატორთა თქმით, ასურეთი ოფენ ეარ „მისტერიკა ფესტივალი“ იქნება ადგილი, სადაც ადამიანები ერთმანეთს გაიცნობენ და დამეგობრდებიან.

რატომ მოუწიათ ფესტივალის ორგანიზატორებს ადგილის შეცვლა და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთიდან თბილისის ზღვის ნაციონალურ პარკში ღონისძიების გადმოტანა, ამაზე საუბარს ისინი ფესტივალის დასრულების შემდეგ აპირებენ.

„გრძელი, ნათელი დღეები“ საუკეთესოა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

იტეკ სმარჟოვსკი, რომელმაც შექმნა კრიმინალური თრილერი და ემილ კრისტოვის „ქამელეონის ფერი“ კომუნისტურ აბსურდზე. ელისა ფუსის „ნინა“ მაყურებელს ახალგაზრდა ქალის რომში გატარებული ზაფხულის უყვება. მიკა რონკაინენის „ფინური სისხლის შვედური გული“ დოკუმენტური ფილმია. ნოარ რუთაუგმა კი ფესტივალზე ამჯერად ფილმი „გაქცევა“ წარმოადგინა.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ივლისის თვეში ასევე გაემგზავრება პარიზის კინოფესტივალზე, სადაც ფილმი საკონკურსო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ვოლოგდისა და ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, სადაც ფილმი ასევე საკონკურსო პროგრამაშია.

ქართველი მაყურებელი ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“ სექტემბრის ბოლოს იხილავს.

ელ ჯერო ბათუმში იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ბათუმის ჯაზფესტივალზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ:

„ამავე დროს ვთქვი ისიც, რაც არ მომწონდა და ეს არის მასიურ სანახაობასთან დაკავშირებული, რაც ბათუმში კეთდებოდა, დიდი ჯაზის ფესტივალი, ანდა ვარსკვლავების ჩამოყვანა და ამაზე სახელმწიფო ფულის ხარჯვა. მე ვთვლი, რომ ეს თვითკმარი მიმართულებებია და ჩვენ ამაზე ფულს არ დავხარჯავთ. ჯაზფესტივალებსა და სტინგის კონცერტებზე რაც არ უნდა ძვირი ღირდეს ბილეთი, მას მაყურებელი მაინც იყიდის და მივა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ ჯაზფესტივალებს ჩვენი სამინისტროს დაფინანსება აღარ სჭირდება. ის, რაც მოგვწონდა, დავტოვეთ, ხოლო ვაგრძელებთ იმას, რაც მიგვაჩნია, რომ აუცილებლად გასაკეთებელია“.

კულტურის მინისტრის გურამ ოდიშარიას თქმით, სახელმწიფო უცხოელი ვარსკვლავების ჩამოყვანაზე ფულს აღარ დახარჯავს.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. ნაკეთობის მცირე ზომის მოდელი; 3. თევზის ქვირითისგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 4. ფართოეკრანიანი კინოს ერთ-ერთი სისტემა; 7. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 8. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 12. დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ ერთ-ერთი ნაწილი; 14. მსხლის ქართული ჯიში; 16. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. მდინარე კახეთში; 19. ყურძნის არაყი; 20. იაპონური ხის ფეხსაცმელი.

თარაზულად: 5. ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათან გადასვლა; 6. დიდი ხმაური, ყაყანი, აურზაური; 9. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 10. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ბოლო ბგერების გამეორება ლექსის სხვადასხვა სტრიქონში; 13. ცირკის აკრობატთა დამცავი ქამარი; 15. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 18. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 21. უსაქმური, უქნარა ადამიანი; 22. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 23. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. კარაკასი; 4. „სამაია“; 5. მაღრაძე; 6. ფარვანა; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. ასკოტი; 18. თარაზო; 19. ზებუ.

თარაზულად: 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 9. ეგრისი; 10. ჯაბადარი; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ბრასი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფორტუნა; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. „სინოპეკი“; 7. კონდიტერი; 8. აფერისტი; 12. „ფავორიტი“; 14. სოლიტერი; 16. ტყიბული; 17. სახიობა; 19. ბაჟი; 20. ბრნო.

თარაზულად: 5. მოწამეთა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. მეგრე; 13. შაშხი; 15. დოლიძე; 18. წყალი; 21. კელაპტარი; 22. უიარაღო; 23. „ფილიპსი“.

ამერიკელი სენატორი სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებაზე საუბრობს

ამერიკელი პარლამენტარი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ ედუარდ სნოუდენისათვის თავშესაფრის მიცემის შესაძლო პასუხი შეიძლება აშშ-ს მიერ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირება გახდეს. თუმცა პრეზიდენტი ობამა ჯერ-ჯერობით არ აპირებს „დიდი ოცეულის“ სამიტზე გამგზავრებაზე უარის თქმას, რომელიც სანქტ-პეტერბურგში სექტემბერში უნდა გაიმართოს.

„იმ შემთხვევაში თუ რუსეთი სნიუდენს პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს აშშ-ს პრეზიდენტმა უნდა განიხილოს სოჭის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირების საკითხი“, – ეს განცხადება სენატორმა ლინდსი

გრემმა ჟურნალ „ჰილისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

მისივე თქმით, „ეს იქნებოდა ყველაზე გასაგები სიგნალი რუსეთისათვის, რომელიც გვიშველიდა. ახლა კი რუსეთის ხელისუფლება აღმაშფოთებელ საქციელს სჩადის“, – აცხადებს სენატორი.

მისივე თქმით, თუ რუსეთი სნოუდენს თავშესაფარს მისცემს ეს აშშ-თვის განწყული სილა იქნება.

აღსანიშნავია, რომ ლინდსი გრემს ამ ინიციატივაზე მისმა თანაპარტიელებმაც არ დაუჭიროს მხარი.

ჯონ მაკკეინმა, რომელიც რუსეთს ხშირად აკრიტიკებს, განაცხადა, რომ ოლიმპიადის ბოიკოტი არც ისე კარგი იდეაა.

კიდევ ერთმა გავლენიანმა რესპუბლიკელმა ბობ კორკერმა, რომელიც კონგრესი საგარეო საკითხების კომიტეტის წევრია, განაცხადა, რომ მას არ სურს რუსეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა.

მაღალი ალბათობით, კონგრესი ლინდსი გრემის წინადადებას არ განიხილავს.

აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა რუსეთს თავშესაფრისთვის ოფიციალურად მიმართა. როგორც მისმა ადვოკატმა განაცხადა, აშშ-ი მას პოლიტიკური დევნა და შესაძლო წამება ემუქრება.

სნოუდენი მოსკოვის აეროპორტში 23 ივნისიდან იმყოფება. აშშ-მ მისი პასპორტი გააუქმა, რაც სხვა ქვეყანაში სნოუდენის გაფრენას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

„რუსეთისა და აშშ-ის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სპეცსამსახურების კინკლაობა“, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ედვარდ სნოუდენის ირგვლივ შექმნილი ვითარების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ასეთმა სიტუაციებმა არ უნდა გაართულოს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

„ჩვენ გვაქვს ჩვენი ამოცანები, მათ შორის ამერიკის მიმართულებით ურთიერთობების განსავითარებლად. ჩვენ დამოუკიდებელი საგრეო პოლიტიკა გვაქვს“, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და დასძინა, – „ვიმედოვნებ, ჩვენი პარტნიორები ამას მშვიდად და გაგებით მოეკიდებიან. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სპეცსამსახურების კინკლაობა“.

მისივე თქმით, რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული არაა სნოუდენის საქმიანობის დეტალების გარკვევით.

„ჩვენ გავაფრთხილეთ ბატონი სნოუდენი, რომ მისი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართული იქნება რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთობებისთვის ზიანს მიყენებაში, ჩვენთვის მიუღებელია“, – განაცხადა პუტინმა.

რუსეთში დროებითი თავშესაფრის მიღების სურვილთან დაკავშირებით სნოუდენმა ჯერ კიდევ 12 ივლისს, აეროპორტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ის რუსეთში შედარებით უსაფრთხოდ გრძნობს თავს, თუმცა მოგვიანებით ლათინურ ამერიკაში ისურვებდა გადასვლას.

ამერიკული სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა გავლენიან რუს დეპუტატებს, ადვოკატებსა და უფლებადამცველებს სთხოვა, გავლენა იქონიონ ქვეყნის ხელისუფლებაზე, რათა მან თავშესაფრის მიღება რაც შეიძლება სწრაფად შეძლოს.

გაერო: ყველაზე საშინელი კრიზისი რუანდას შემდეგ

გაეროს მონაცემებით, სირიაში შეიარაღებული კონფლიქტის გამო ქვეყანას ამ წელს ყოველდღიურად დაახლოებით 6000 ადამიანი ტოვებს. ამ მაჩვენებლით ქვეყანაში ჰუმანიტარული კრიზისი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ყველაზე საშინელი აღმოჩნდა.

გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსვლისას ლტოლვილთა საქმეებში უმაღლესმა კომისარმა ანტონიო გუტერესმა აღნიშნა, რომ მსოფლიოს საკუთარი სახლებიდან ამდენი გაქცეული რუანდას 1994 წლის ეთნიკური წმენდის შემდგომ არ უნახავს. მისი ინფორმაციით, გაეროს 1,8 მილიონი სირიელი ლტოლვილი ჰყავს დარეგისტრირებული. ლტოლვილთა უმრავლესობამ სახლები 2013 წელს დატოვა. ამასთან, ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომს ყოველთვიურად 5000 ადამიანი ეწირება.

გუტერესის თქმით, კრიზისი მძიმეა მეზობელი ქვეყნებისათვისაც, თუმცა იორდანიის, ერაყისა და ლიბანის მზადყოფნა მიიღონ სირიელი ლტოლვილები ასი ათასობით სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს. მან ასევე, აღნიშნა რომ „სირიის კონფლიქტმა, შესაძლოა, მთელი რეგიონი მოიცვას და ეს უბრალო სიტყვები არ არის“.

გაეროს ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვალერი ამოსის თქმით, დაახლოებით 6,8 მილიონ სირიელს ჰუმანიტარული დახმარება სჭირდებათ. მისი თქმით, ქვეყნის შიგნით დარჩენილი სირიელებისა და ლტოვილებისა დასახმარებლად აუცილებელია წლის ბოლოსათვის 31 მილიარდი დოლარის მოძიება. ამოსმა მეომარი მხარეები დაადანაშაულა, რომ არ ასრულებენ საკუთარ დაპირებებს და მშვიდობიან მოქალაქეებს ომის საშინელებისაგან არ იცავენ.

„ის რასაც ჩვენ ვხედავთ, მხოლოდ ქვეყნის ნგრევა კი არა, მთელი ერის განადგურებაა“, – აღნიშნა ამოსმა.

გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწემ ადამიანის უფლებების საკითხებში ივან სიმონოვიჩმა აღნიშნა: „დღეისათვის სირიაში, ადამიანის უფლებების დარღვევები, ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩვეულებრივ მოვლენად იქცა“.

გაეროში სირიის წარმომადგენელმა ბაშარ ჯაფარმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ყველაფერს აკეთებს საკუთარი მოქალაქეების დასაცავად და მათთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად.

სირიის სამთავრობო ძალების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დამასკოსთან ახლოს სირიელი ამბოხებულების ქიმიური იარაღის ლაბორატორიაც აღმოაჩინეს. სამხედროები აცხადებენ, რომ „ბოევიკები დედაქალაქის მიდამოების დაცხრილვას ქიმიური ნივთიერებებით დატუმბული ნაღმებით აპირებდნენ“.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს ამბოხებულების კუთვნილი ქიმიური იარაღის აღმოჩენის პირველი შემთხვევა როდია. ზუსტად ერთი კვირის წინ ქიმიური ნივთიებებით სავსე კიდევ ერთი სამალავი იქნა აღმოჩენილი. გაეროში სირიის წარმომადგენლის თქმით, აღმოჩენილი მომწამვლავი ნივთიერებების რაოდენობა იმდენი იყო, რომ არა თუ მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის განადგურებასაც კი ეყოფოდა.

ქვეყანაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მოწინააღმდეგეებსა და პრეზიდენტის ძალებს შორის დაპირისპირება 2011 წლის მარტში დაიწყო. კონფლიქტს, გაეროს მონაცემებით, უკვე ემსხვერპლა 93.000 ადამიანი. რუსეთი და ჩინეთი ძველებურად განაგრძობენ საკუთარი ვეტოს უფლების გამოყენებას და ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემოთავაზებას ბლოკავენ, რაც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ქმედებების განხორციელებას გულისხმობს.

ერდოღანი საკრედიტო ბარათების წინააღმდეგია

თურქეთის პრემიერ მინისტრი მოსახლეობას მოუწოდებს უარი თქვან საკრედიტო ბარათების სარგებლობაზე. მისი

თქმით, ბანკები ამ ბარათების სარგებლობისთვის მომხმარებელს მაღალ პროცენტს არიცხავენ.

„არსებობენ ბანკები, რომელთაც ყოველწლიური შემოსავალი მხოლოდ საკრედიტო ბარათების მოხმარებისგან, სხვა ბანკების მთლიან წლიურ შემოსავალს უტოლდება“, – განაცხადა ერდოღანმა.

მისი თქმით, ხალხმა უნდა გაიგოს თუ რა თამაშს თამაშობენ თურქეთის ბანკები და ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლონ.

საკრედიტო ბარათი ბანკის სახელობით ფულად დოკუმენტს წარმოადგენს. იგი არამარტო ზღუდავს ქაღალდის ნიშნების (ბანკნოტების), ანუ ნაღდი ფულის მიმოქცევას მოსახლეობაში, არამედ სხვა დადებითი მხარეებიც აქვს. მაგალითად უსაფრთხო მოგზაურობა, ქურდებისა და ყაჩაღებისაგან დაცულობა და სხვ.

სამგლოვიარო განცხადებები

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი, სხირტლაძეები და იობაშვილები ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ქალბატონი, შოთა სხირტლაძის მეუღლე

ჯულიეტა მიხეილის ასული სხირტლაძე

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ამერიკაში უმცროსი ბაკიევის ანგარიშები გაყინეს

„კომერსანტის“ ცნობით, ამერიკის ხელისუფლებამ ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის ვაჟის მაქსიმ ბაკიევის ანგარიშები გაყინა.

ყირგიზეთის ეკონომიკის მინისტრის ტემირ სარიევის განცხადებით, გაყინული თანხა 70 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს თანხა, როგორც აღნიშნავენ, უმცროსმა ბაკიევმა ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციებიდან და ყირგიზეთის ბანკებიდან მიღებული შემოსავლებიდან მიიღო.

ყირგიზეთი გეგმავს, მსგავსი გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებმაც მიიღონ, რომლებშიც კურმანბეკ ბაკიევის მმართველობის დროს ქვეყნიდან უკანონოდ გაიტანეს თანხები. ბიშკეკს, ამ თანხის დაბრუნების იმედი აქვს.

ყირგიზეთის ამჟამინდელი მთავრობა ახალგზარდა ბაკიევს ფინანსურ მაქინაციებში და ფულის გათეთრებაში სდებს ბრალს. მაქსიმ ბაკიევი „რევოლუციამდე“, რის შედეაგდაც მამამისი თანამდებობას ჩამოაშორეს, სახელმწიფო აქციების მართვის უწყებას ედგა სათავეში. პრესაში მას ყირგიზეთის ეკონომიკის „რუხ კარდინალს“ უწოდებდნენ.

კურმანბეკ ბაკიევი 2005 წლის 24 მარტს ყირგიზეთის უზენაესმა საბჭომ „ყაყაჩოების რევოლუციის“ შედეგად გადაყენებული ასკარ აკაევის ნაცვლად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. პრეზიდენტად მოსვლამდე ყირგიზეთის სახალხო მოძრაობის ლიდერი იყო. მისი ძირითადი მომხრეები ქვეყნის სამხრეთში არიან.

2010 წლის 15 აპრილს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ოფიციალურად დატოვა პრეზიდენტის პოსტი და ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 18 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** "ჩვენი ფერმა" **17.30** "საფარი" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** "საჯარო პოლიტიკა" **22.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **00.30** მხ/ფ "**კარზე ვინ მიკაკუნებს**" **02.10** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **3** ნაწ. (ოთხშ. გ/ჩ) **14.00** დ/ფ "მარი კიური" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **4** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** მხ/ფ. "**უკვდავები: ღმერთების ომი**" (მ.რურკი) **00.15** მხ/ფ. "**რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული**" (რ.უიზერსპუნი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ "**ერთგულების ქალა**" **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** საქართველო არის ესე **07.10** მოკ/ფ "**სიყვარულის ცეცხლი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "ქართული გამბიტი" **11.00** დოკ/ფ "ფთილა" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ჩიორა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** დოკ/ფ "აკაკი" **16.35** კონცერტი -ანა-სოფია მუთერი **18.10** ტელეზღაპარი **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ფილატელისტის სიკვდილი**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "ვარძია" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ "**პარაჩუტებრივი რეისი**" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

მაესტრო **7.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **8.20, 9.15** მაგთიფანი **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.30** ფარული კამერა **12.30** თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"(გამ.) **14.00** "კვირის აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შბორამი" 18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **22.20, 3.30** თოქ-შოუ – "პოლიტმეტრი"

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00 სერიალი "ბებილი შხამი" 12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** ჩემიანი **16.10, 17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6542

ევრო — 2,1692

ინგლისური სტერლინგი — 2,5002

100 რუსული რუბლი — 5,0833

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

საქართველოს ნაკრებს ისევ ბორჯომი დაასპონსორებს

კომპანია „იდს ბორჯომი საქართველო“ უკვე მესამე წელია, საქართველოს ეროვნული ნაკრების პარტნიორია. გუშინ, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და კომპანია „იდს ბორჯომი საქართველოს“ გენერალურმა დირექტორმა ზაზა კიკვაძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის თანახმად, 2013 წელს ჩატარებულ ოფიციალურ მატჩებში მსოფლიოში სახელგანთქმული „ბორჯომი“ საქართველოს ნაკრების პარტნიორი ხდება. ხელმოწერის ღონისძიებას საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებიც დაესწრნენ.

ბესიკ ლიპარტელიანი:

– ის, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების პარტნიორი ქართული მინერალური წყალი „ბორჯომია“, ჩვენთვის ძალიან სასიამაყოა. კალათბურთელები ცხოვრების ჯანსაღი წესით ცხოვრობენ და სწორედ ამიტომ ყოველთვის „ბორჯომს“ ირჩევენ. ძალიან გვახარებს და გვეამაყება, რომ ქართული ბრენდი ყველა იმ ქვეყანაშია წარმოდგენილი, სადაც ჩვენი ნაკრები შეხვედრებს მართავს.

ზაზა კიკვაძე:

– უკვე მესამე წელია, მხარდაჭერას ვუცხადებთ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ამ მეტად საპასუხისმგებლო თამაშების დროს, რომლებიც ამჯერად სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში გაიმართება. „ბორჯომი“ ქართული ბრენდია და გარკვეულწილად ვალდებულებიც კი ვართ, გვერდით დავუდგეთ გუნდს, რომელსაც ასეთი დიდი მისია აკისრია. ამ მნიშვნელოვანი თამაშების წინ მინდა წარმატება ვუსურვო საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

ევროპის ჩემპიონატი 4-22 სექტემბერს სლოვენიაში გაიმართება. საქართველოს ნაკრები პირველი ჯგუფური ეტაპის თამაშებს ქალაქ ცელიეში გამართავს. **მ.ჟ.**

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 18 ივლისისთვის

ვერძი – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – თქვენი საქმე კარგად წავა. **ლომი** – მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – მოაწყვეთ განტვირთვის დღე, დაისვენეთ და გაერთეთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, ფულიც გაქვთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **თხის რქა** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, შინაგანად კარგად ხართ. **თევზები** – გზიდან ფულსაც მიიღებთ და საჩუქარსაც.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 2. მწვავე სუნის მქონე უფერო აირი; 3. უდაბნო შუა-აზიაში; 4. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 5. წარმატებისთვის, დამსახურებისთვის გაცემული სიგელი, მოწმობა; 6. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 11. ტროპიკული ხვიარა, მცოცავი მცენარე; 13. მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული; 14. ფრანგული ყველი; 15. რაიმეს განვითარების მიმართულება, მიდრეკილება; 17. მოდელების საგენტო თბილისში; 18. ანგორული თხის მატყლი; 19. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 7. აეროპორტი ტოკიოში; 8. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმში; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. საწოლის ქართული სახელწოდება; 12. უცხო ენიდან შემოსული სიტყვა; 14. მგზავრთა სათავსო გემზე; 16. სოფოკლეს ტრაგედია; 18. უღელტეხილი კავკასიონზე; 20. სოხუმის ძველი სახელწოდება; 21. იაპონელი მევიოლინე ქალი; 22. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 23. ფეხბურთის სათამაშო ფეხსაცმელი; 24. მეძავის ხარჯზე, კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



აჩიკო ნიჟარაძემ „სლავიანსკი ბაზარზე“ გაიმარჯვა

ეკა ირემაშვილი

ქართველმა მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „სლავიანსკი ბაზარი 2013“ მეორე ადგილი დაიმსახურა. როგორც მომღერალმა თავის „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა:

– მომილოცეთ, მეორე ადგილი ავიღეთ „სლავიანსკი ბაზარზე“.

სოციალურ ქსელში ქართველ კონკურსანტს გამარჯვება ბევრმა ცნობილმა ადამიანმა მიულოცა, მათ შორისაა მარინა ბერიძე, ნოდიკო ტატიშვილი, ვლად არამოვი, თიკა მახალდიანი, დათუნა სირბილაძე, ანი ღონღაძე, ანრი ჯოხაძე.

წელს კონკურსში მონაწილეობას 21 ქვეყნის კონკურსანტი იღებდა. საუკეთესოდ საერთაშორისო ჟიურიმ პოლონეთის წარმომადგენელი მიხალ კაჩმარეკი აღიარა, მეორე ადგილი კი ქართველ კონკურსანტს დაუთმო. წელს ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი 22-ედ გაიმართა. საქართველოს წლევანდელ ფესტივალზე ორი კონკურსანტი ჰყავდა – აჩიკო ნიჟარაძე და ლენკა, რომელმაც მონაწილეობა საბავშვო „სლავიანსკი ბაზარში“ მიიღო.

საქართველოსდან გამგზავრებამდე აჩიკო ნიჟარაძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო და დალოცა. ქართველმა მომღერალმა პირობა დადო, რომ საქართველოს მაქსიმალურად ასახელებდა:

„პატრიარქთან ვიყავით და გზა დაგვილოცა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ მომესწრო შეხვედრა წასვლამდე. უდიდესი ძალა აქვს პატრიარქის დალოცვას. ვეცდები ისე გამოვიდე, როგორც ჩვენ ქვეყანას შეეფერება. იმედი მაქვს, ჩემს მონდომებასთან ერთად ცოტა გამართლებაც იქნება, რომ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი მადლობა წინასწარ, გულშემატკივრობისთვის“, – დაწერა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მომღერალმა.

სლავიანსკი ბაზარი წელსაც ტრადიციულად ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკში გაიმართა. ფესტივალი ჩატარდა როგორც უფროსი თაობის მომღერლებში, ასევე საბავშვო კატეგორიაშიც. წელს საბავშვო ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარედ ქართველი მომღერალი მანანა თოდაძე შეირჩა.

სლავიანსკი ბაზარზე საკუთარი კონკურსანტები წარადგინეს საქართველომ, სომხეთმა, ბელარუსმა, ბულგარეთმა, ბოსნია ჰერცოგოვინამ, გერმანიამ, იტალიამ, ყაზახეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, მაკედონიამ, მოლდოვამ, რუსეთმა, რუმინეთმა, უზბეკეთმა, უკრაინამ, ფინეთმა, ესტონეთმა, ავსტრალიამ, ხორვატიამ, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, პოლონეთმა.

კონკურსანტების გარდა, ფესტვიალზე მიწვეული იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მომღერლები, მათ შორის, რუსული ესტრადის ვარსკვლავებიც – კრისტინა ორბაკაიტე, ელენა ვანეგა, იულია სავიჩევა, ლეონიდ აგუტინი, ანჟელიკა ვარუმი, ვლადიმერ პრესნიაკოვი, ნიკიტა პრესნიაკოვი, ტატიანა ბულანოვა, ალექსანდრე მალინინი, ედიტა პიეხა, ნადეჟდა ბაბკინა, ალექსანდრე სეროვი, ლარისა დოლინა, დიმა ბილანი, პოლინა გაგარინა, სტას პიეხა, წლევანდელი ევროვიზიის გამარჯვებული ემილი ფორესტი, ალ ბანო, ინ გრიდი, ჯიპსი კინგი, ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ორკესტრი. ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილ კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მომღერალმა მანანა თოდაძემ და კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა. ჩატარდა „მეგობრობის კონცერტები“. ხელოვნების ფესტივალის ეგიდით მოეწყო თეატრალური საღამოები, სადაც საკუთარი სპექტაკლები რუსეთის თეატრებმა გაითამაშებენ.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ღონისძიებები საზაფხულო ამფითეატრში დაიგეგმა, ცნობილმა მომღერლებმა გრანდიოზულ გალაკონცერტები გამართეს. აჩიკო ნიჟარაძემ ფესტივალის ჟიურისა და მსმენელის წინაშე ორჯერ იმღერა – 13 და 14 ივლისს. ფესტივალის საზეიმო დახურვა, დაჯილდოების ცერემონიალი და გალაკონცერტი 15 ივლისს შედგა. ფესტივალის ბოლო ორი დღე მთლიანად ცნობილ ვარსკვლავებს და თეატრალურ დასებს დაეთმო.

ფესტივალის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია ვალსის ჰანგების თანხლებით, საზაფხულო ამფითეატრში გაიმართა. საზეიმო გალაკონცერტის გახსნის პატივი გამარჯვებულებს ხვდათ წილად. წლევანდელი „სლავიანსკი ბაზარის“ დასკვნითი კონცერტი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდა.

ელ ჯერო ბათუმში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

18 ივლისს ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება. რიგით მეშვიდე ფესტივალის პირველი სტუმარი მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსი ელ ჯერო იქნება. მართალია, წელს კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ ბათუმის ჯაზფესტივალს შემცირებული დროით და ნაკლები მონაწილეებით წარმოადგენს, თუმცა ეს მათ სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ საქართველოში მსოფლიო დონის ჯაზის ვარსკვლავები ჩამოიყვანოს.

წლევანდელ „ბლექ სი ჯაზ ფესტივალს“ ელ ჯერო გახსნის და ლა როშელ ბენდი დახურავს. კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორის მიშა გიორგაძის თქმით, ფესტივალი მონაწილეების მხრივაც შემცირებულია და საკონცერტო დღეებითაც.

წელს ფესტივალი ერთი კვირის ნაცვლად მხოლოდ ოთხი დღე გაგრძელდება. ფესტივალის ეგიდით ბათუმში შეკრებილი ჯაზის მოყვარული მსმენელის წინაშე წარდგებიან ელ ჯერო, მაიკ სტერნი, კარმენ სოუზა და ჯოს ჯაიმსი. ბიგ ჯონი და ვიენა სოულ სოსაითი 4 დღის განმავლობაში მსმენელს ცნობილი მომღერლების საღამოებს აჩუქებს, მათ შორისაა ბარი ვაითი, ჯეიმს ბრაუნი და სტივ ვანდერი. მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები ბათუმს 18-21 ივლისს ესტუმრებიან.

– 18-დან 21 ივლისის ჩათვლით ფესტივალი მსოფლიოში აღიარებულ შემსრულებლებს უმასპინძლებს. კონცერტები, ტრადიციულად, ბათუმის კორტებზე და „თეიქ ფაივში“ გაიმართება. „შავი ზღვის ჯაზფესტივალი“ წელს უკვე მეშვიდედ ჩატარდება. ფესტივალს ჯაზის ლეგენდა, 8 გრემის მფლობელი ელ ჯერო გახსნის. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უარი თქვა ჯაზფესტივალის დაფინანსებაზე, ამიტომაც წელს ფესტივალი განახევრებული ბიუჯეტით გაიმართება, – აღნიშნა მიშა გიორგაძემ.

მისივე თქმით, წელს ფესტივალის ორგანიზატორებს ერიკ კლეპტონისა და ნატალი კოლის ჩამოყვანა სურდათ, თუმცა შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო ეს შეუძლებელი გახდა.

– ბიუჯეტის სიმცირის გამო ფესტივალი, რომელიც 7 დღე გრძელდებოდა, წელს მხოლოდ 4 დღე გასტანს. ჩვენ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერის არქონის გამო უარი ვთქვით ფესტივალის დღეებში უფასო წარმოდგენებზე, ქუჩაში მოწყობილ კონცერტებზე. ელ ჯერომ თავისი ჰონორარის 35-40% მოგვთხოვა მხოლოდ, რათა ფესტივალისთვის ამ სახით დაეჭირა მხარი. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად გულშემატკივრობენ ქვეყნის გარეთ ამ ბრენდს, – განმარტა ფესტივალის დირექტორმა.

ფესტივალის დამფინანსებელი კვლავ თიბისი ბანკია. თიბისი სტატუსის დირექტორის მადონა წულაიას განმარტებით:

– თიბისი სტატუსმა თბილისის ჯაზფესტივალისთვის განკუთვნილი თანხები შავი ზღვის ჯაზფესტივალისთვის გამოჰყო. პრაიმ ქარდს და სტატუს ქარდს 15-20%-მდე ფასდაკლება ექნება. პრაიმ ქარდს აქვს ნულპროცენტიანი განვადება და ჯაზის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ ბილეთის ფასი საკრედიტო ლიმიტის საშუალებით ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ. ამის გარდა, შავი ზღვის ფესტივალზე დასწრების მსურველებს ბილეთების შეძენა განვადებითაც შეეძლებათ. განვადება ბილეთების გარდა სასტუმროების საფასურზეც გავრცელდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ფესტივალზე დასწრება შეძლოს ყველა ადამიანმა, ხოლო სტატუს კლიენტების შემთხვევაში ვაკეთებთ ყველაფერს, რომ მიიღონ დამატებითი უპირატესობები.

მიუხედავად საფესტივალო ბიუჯეტის სიმცირისა, მისმა ორგანიზატორებმა შეძლეს, რომ ამას ბილეთის ფასზე არ ემოქმედა.

– ჩვენ მაინც მოვახერხეთ, რომ ბილეთების ფასი ისეთივე ყოფილიყო, როგორც შარშან და ბილეთები 50-100 ლარამდე ეღირება. უფასო ნაწილში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სალომე კორკოტაშვილია, რომელიც ნიუ ორლეანის ჯაზფესტივალზე გამოვიდა. იგი ნიუ ორლეანის ფესტივალის დირექტორმა აღმოაჩინა, როცა ის ჩამოსული იყო ბათუმის ჯაზფესტივალზე, – განმარტა მიშა გიორგაძემ.

ფესტივალის მხარდამჭერები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ბათუმის მერიაა. ფესტივალის ორგანიზატორი „ისთერნ პრომოუშენია“.

წინა თვეში გავრცელდა აუდიტის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ კულტურის სამინისტრო „ისთერნ პრომოუშენს“ ჯაზფესტივალებისა თუ სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად სოლიდურ თანხებს ურიცხავდა. „ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტის“ მიერ სამინისტროდან მიღებული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, შპს „ისთერნ პრომოუშენს“ გასულ წელს კულტურის სამინისტრომ 1 356 800 ლარი ჩაურიცხა ახალციხეში კონცერტისთვის; 460 ათასი ევრო – ბათუმში ჯაზფესტივალისთვის, 207 298 დოლარი – 26 მაისს კონცერტის ორგანიზებისთვის, 90 ათასი ლარი – თბილისის ჯაზფესტივალზე ჩიკ კორეას მონაწილეობისთვის, 57 817 დოლარი – კაროლინა კემპბელისთვის.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრის დროს სხვა

გაგრძელება მე-10 გვერდზე